



ილორი



№ 38 (106) 27 თებერვალი 2009 წლის 27 თებერვალი "სამეგრელო" ტრანს 50 თეთრი



6 საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II: გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს

მისმა უზმინდესობამ ტალიაგინის დასკვნა შეაფასა

გულ ბაი, ავერიკა!

კაღლი ყაფს, ქარავეანი მიღის


3



რ მ ს ა

კ ა ნ ო ნ ი

დაკავშირებულია 10



9

4 ლავრენტი ბერიძე — ქართული ბანია



ევროპის რეალური ბაზუი "ილორი" უპევა რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

მეფეები



12



5 "კოლხები — ქართველების წინაპრები"

ანზორ ჴონია

8 სამეგრელოს ღირსეული ფვილები

7 აფხაზეთში სამარადქამოდ დარჩენილები





ილანი ზოლი და სიკუდილი დაბრუნდა გაყილი ოპოზიციის მიმართ, რომ საზოგადოება ისევ სააკაშვილს ებღაუჭება

მაშ ასე, ვაგრძელებთ საუბარს თემაზე: „რით ვლობთ ოპოზიციის ლიდერები მიხეილ სააკაშვილს“. ამჯერად რუბრიკის სტუმარია თანამედროვე ქართული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალი რეზო მიშველაძე.

– ბატონო რეზო, ამ ბოლო დროს ოპოზიციის უმთავრესი საზოგადოებაში ერთგვარ გულისწყრომასა და ლიდერებისადმი გარკვეულ უნდობლობას იწვევს. ხშირად ისმის რიტორიკული კითხვა: ვინ ან რა იქნება სააკაშვილის შემდეგ? თქვენი აზრით, რით ვლობთ, ვთქვით, ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ე. წ. რადიკალი ლიდერი, შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს?

– შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს ვლობს, უწინარესად, ეროვნული თვითშეფასების ხასიათის გარკვეული თვისებებით ისინი ერთმანეთს ჰგვანან – ორივენი არიან ქარიზმატული, ენერჯული და უკომპრომისონი. განსვავება კი ის არის, რომ ნათელაშვილის უკომპრომისობა საქართველოსთვის სასარგებლოა, რაც შეეხება სააკაშვილს, მისი უკომპრომისობაც, სიმართლე გითხრათ, ბევრ რამეში საწაღმართია, ვთქვით კორუფციის წინააღმდეგ, მაგრამ, როცა უკომპრომისობა ხარ მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლების, უნივერსიტეტებისა და აკადემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს ვერაფერი უკომპრომისობაა...

შალვა ნათელაშვილის ბრძოლა თანამედროველია არა მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ თავისი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისთვისაც და ეს „ღლებორისტული პარტის“ არაერთმა შედეგანამა აქცია იმდენად, თუქცა...

– განსვავება, რით ვლობთ კოლეგა მისხურდია მიხეილ სააკაშვილს?

– სიმართლე გითხრათ, კოლეგა მისხურდია მისი წარმოშობის კაცივანა უფრო მეტს მოვლავს. მას შიშობა მავლობით უნდა გადასცემოდა კონსტანტინე გამსახურდიას სიბრძნე და ზვიადის თეოგანურულობა. მეტრიაკლემად, ალბათ, ორივე ვადმოვცა, მაგრამ ძალიან მცირედლობით. ასე რომ, ხანდახან ვფიქრობ, მართლა ხომ არ ისვენებს ნიჭი შთამომავლობაზე!

კოლეგა გამსახურდია კომფორმისტულ გზებს ეძებს, აუტოკრატიული პოლიტიკის გზას ადგას. ამიტომ იგი, ალბათ, დიდხანს დარჩება პოლიტიკოსად, რომელსაც ხელს აძლევს, ითვლებოდეს პოლიტიკოსად, მაგრამ ვერ აღწევს დასახულ მიზანს; ისე ჩაგვაბერდება კოლეგაში, რომ იგი თავისი დიდი ბაზუხისა და დიდი მამის გზის დირსველ გამგრძელებლად აღარ ჩათვლება ხალხის მიერ.

– ნინო ბურჯანაძეზე რას გვეტყვი? მას, ალბათ, ვერ „დგეყმობთ“ უპრინციპობას...

– ცდამთვ, რადგან სწორედ უპრინციპობაა მთელი მისი მოღვაწეობის უპირველესი ნიშანი. მე მას კარგად ვიცნობ. პარლამენტშიც კარგა ხანს ერთად ვიყავით... მისთვის დიდი ეპიზოდია, როცა პარლამენტის ერთდგეყმობა აზერბაიჯანში იმყოფებოდა. იქ კორფერენციაზე ერთი უფრდალისტი წამოიგდა და ბურჯანაძეს ჰკითხა: „ნინო ხანუმ, თქვენზე ამბობენ, ვგარტობით სომეხიაო, მართალია ეს თუ არა? ერთ-ერთ არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ როგორც კი ავირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარეო, პირველდგე ყოზიტი სომეხიო გქონდათ“. ბურჯანაძე დაიბნა, ვერაფერი თქვა; მერე მიმობხედა და დარბაზში რომ დაინახა, განაცხადა: „მე სომეხი ვარ თუ არა, ავტარ ამის ჩვენი დღევანდისი წევრი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, მწერალი რეზო მიშველაძე და ჰკითხეთო“. მე აუღეკი და ვთქვი ის, რაც მართლაც ვიცი – ნინო ბურჯანაძე ჩემს თვალწინ გაიხარდა, მისი თჯახი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, კარგად ვიცნობ დედსაც, მამასაც და თქვენი გჯეკი ნინო ბურჯანაძის სომხობის თქვასხე სიმართლეს არ შეესაბამება-მეთქი. ეს თქვი სრულიად გულწრფელად, რადგან მის სომხურ წარმოშობაზე არაფერი ვიცი და არც ახლა ვიცი, მაგრამ ამ დამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით რომ გამოაცხადეს, ბურჯანაძე ერთ-ერთი ცნობილი სომხური ორგანიზაციის დამფუძნებელია შორის ითვლებოდა, სიმართლე გითხრათ, ცოტა დაგეყმევი – მართლა ხომ არ აქვს სომხური ფესვები-მეთქი, თუქცა ესეც ნაკლებად მაინტერესებს. მე არ ვარ ისეთი პატარა კაცი, რომ პოლიტიკოსების ძირებში არაქართული წარმოშობა ვეძებო. ჩემთვის ის უფრო

მნიშვნელოვანია, აკეთებს თუ არა ესა თუ ის პოლიტიკოსი ეროვნულ საქმეს და არის თუ არა მისთვის უპირველესი ზღვანი ქართული ღირებულებების, თვითმყოფადობის შენარუნებისთვის ბრძოლა.

ნინო ბურჯანაძე პარლამენტში ყოფნის დროს დაუცხრომელი წინააღმდეგი იყო, რომ ეროვნება ქართველი საბუთებში ჩაწერილიყო. თავადაკლულად ვებრძობოდი მე, ცხონებული გურამ შარაძე და ელიზბარჯაველიძე, მაგრამ მან ერთი წუთითაც უკან არ დაიხია.

ამასთან, როცა ის ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ორივეჯერ მივედით მის კარზე მე და მესვავა გონაშვილი და მიღება ვისწოვეთ. მან იცოდა, რისთვისაც ვიყავით მისული – მწერალთა კავშირის საკითხზე უნდა დავლაპარაკებოდით, ამიტომ პასუხს თავი არიდა, დაგვემალა და მომიზუსა: არ მცადითო.

მერე ანა კალანდაძის დასაფლავებაზე წერილი მე თვითონ გადავეცი. ერთი გენახათ, ისე ურცხვად შემომხედა და ისე გამომართვა ეს წერილი, თითქოს ზღაბში შემეჩენებინა ხელში. თუქცა ამასაც ვინ ჩივის – არანაირი გამომხმარებდა, ყურადღება ან რამე პასუხი მისგან არ ყოფილა. ასე რომ, ნინო ბურჯანაძის ეროვნულობას მე ვგეყმევი ვაყენებ და როცა პოლიტიკოსი ეროვნულ საქმეს არ აკეთებს, მას უფლება არ აქვს, პოლიტიკაში ყველაფერს დაიჭუბოს.

მე ერთი პერიოდი ვაბობდი და ახლაც ამ აზრზე ვარ – ხომ არ არიან ეს „ოპოზიციონერები“ დანიშნული პოლიტიკოსები? ეს კითხვა ზურგბრუნად იბადება იმიტომ, რომ, როცა ჩამოდიან ხოლმე მინისტრები ლიტვიდან, ამერიკიდან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოდან, ჯერ ხვდებიან პრეზიდენტს და შემდეგ თითქმის იმდენივე ხნით ხვდებიან „ოპოზიციის“ მხოლოდ სამ ლიდერს – ბურჯანაძეს, ალასანიას და განეჩილაძეს. ვსვამ კითხვას – რაშია საქმე, ოპოზიციონერობის მონაპოვინა აქვს მოპოვებული ამ სამ პირსებებს? რა თქმა უნდა, არა. საქმე ის არის, რომ ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, ეს სამი ადამიანი – ბურჯანაძე, ალასანიას და განეჩილაძე – იმაზე კი არ ილაპარაკებს უცხოელთან, რაც ვერს და ქვეყანას აწუხებს, არამედ იმაზე, რაც მათ თავიანთი კეთილდღეობისთვის სჯობდებათ. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვთხოვრებ, მე არ მწამს და არც არასდროს მწამდა ნინო ბურჯანაძის ოპოზიციონერობისა...

– ლევან განეჩილაძის თუ გწამთ?

– როცა ვაბობ, ოპოზიცია თითქმის არ არსებობს-მეთქი, ვგულისხმობ იმას, რომ მათი ეთოროული მოღვაწეობა, გულზე ხელის ბრავუნი, მიტინგებზე ომახიანი შეძახილები: „მიშა მივედი!“ და ა.შ. სასაცილოზე სასაცილოა. ჩვენს ტელევიზიებში უნიჭო ხალხია, თორემ ახლა სწორედ იმ მიტინგების ჩანაწერებს გავუშვებდი „პირველ არხზე“ და „რუსთავი 2“-ზე. თანაც ამ კადრებს არავითარი და-მონტაჟები და კომენტარო არ სჭირდება; საქმარისია, ერთხელ უფრო, მისხედები, რომ მართლა სასაცილო და სატირალიც. თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ დღე ერთსა და იმავე სიტყვებს ამბობდნენ, იჭაჭებოდნენ, აჭყუებოდნენ ხალხს და არსად, არც ერთ გამოსვლაში არაფერს ამბობდნენ ეროვნულ სატიკებზე. ისინი არ ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დღესდღეობით საქართველოში ადამიანთა დასაქმების მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. არც თავიანთ გეგმებზე საუბრობდნენ, გააჩნიათ თუ არა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რამე სტრატეგია. ყურადღების მიღმა რჩება ის, რომ შობადობის დონემ კატასტროფულად იკლო, რომ ყველა საბუთში წაშლილია ეროვნება და ისპობა ქართული ეროვნული ფენოები; რომ უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ფაქტობრივად, გაუქმებულია და მეტს რას ვმდურით ჩვენ სააკაშვილს?! სააკაშვილზე უკეთესები ესენი, ეს ე.წ. მომავლები, არაფრით არ არიან.

აი, მაგალითად ავიღოთ ყველაზე გახმარებული ფაქტი – ტალიავინის კომისიის დასკვნა. ამ დოკუმენტს დააძღნენ ეს ჩვენი ე.წ. ოპოზიციონერები, თანაც სასაცილოა, რომ ყველას სხვადასხვანაირად ესმის და ყველას სხვადასხვა შინაარსი გამოაქვს ამ დასკვნიდან. ნუთუ ასეთი დაუნებო ვართ ჩვენ, რომ ვერ გავიგებთ, რა წერია დოკუმენტში? ერთიანი იძახიან, ჩვენი საწინააღმდეგე არაფერი წერიაო, მერე მხარე – ოპოზიცია – კი დაბეჯითებით გვარწმუნებს, ომის დაწვევაში სააკაშვილს

დასდეს ბრალი და წუთი წუთზე ველოდებოთ მის დაპატიმრებასო. ჩემი აზრით, ორივე პოზიცია მცდარია, ორივე მოკლებულია რეალობას. ამ ე. წ. ოპოზიციის ლიდერებმა ვერაფერი მოუხერხეს სააკაშვილს, ყველა ნიუანსში დამარცხდნენ მასთან დაპირისპირებაში და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დღესდღეობით ხალხს ისევე სააკაშვილისკენ უბრუნდება გული. იმდენი ზიზი და სიძულვილი დაგროვდა ამ გაყილი ოპოზიციის მიმართ, ისეთი უნდობლობა და გულგატეხილობა გამოიწვია ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საზოგადოებაში, რომ ისევე სააკაშვილს ებღაუჭება ხალხი... „წაღწავლებული ხავს ვტიღებოლა“, – ასეა ჩვენი საქმე.

რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, იქ მართლა წერია, რომ პირველმა ქართველმა ჯარმა გაისროლა, მაგრამ მე პირადად სააკაშვილს ამას არამც და არამც არ ვადასაშულებ. იცით თუ არა თქვენ, რომ ქართული ჯარი პირველი გადავიდა იერიშზე დიდგორის, კრწანისის, ასპინძის და თითქმის ყველა ომში, რაც კი ჩვენმა ისტორიამ იცის? ზოგი ომი მოვიგეთ, ზოგი – წავაგეთ. აი, მაგალითად: სამარცხინოდ გაიქცა ერეკლე მეფე კრწანისის ომიდან, მაგრამ ქართველ ერს ფიქრად არ მოსვლია, ამის გამო გაეცამართლებინა იგი. როგორ შეიძლება მეფე დაადანაშაულო იმაში, რომ ვთქვით, ასრომოცდაათი ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლაში? ეს ხომ სისულელეა?! სააკაშვილის დანაშაული და სირცხვილი ის კი არ არის, რომ ომი დაიწყო, არამედ ის, რომ დღენავგარში დამთავრდა ყველაფერი. ეს დილემანტი – დაეთი კეჭერაშვილი, კახა ლომია – გამოდიოდნენ და რა განცხადებებს აკეთებდნენ? – ცხინვალი, როგორც ქალაქი აღარ არსებობს, მიწასთანაა გახსრებულიო. ორი ხალხი დანებდა გორში და ორი დანებდა ცხინვალში, ესენი კი ზემობდნენ. უკვე ცხინვალს და მთლიანად სამანაღლოს ვაკონტროლებო. აი, სწორედ ამან დაგვღუპა და მიგვიყვანა დანებროფამდე. ასე რომ, ჩვენ სააკაშვილის სხვა ნაკლი ჩამოეთვალო და სხვა შეცდომებზე ვილაპარაკოთ, რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოში განაცხადებულ ომს, ეს იმის კისერზე იყოს, იმ ძია სემის, რომელმაც შეაგულიანა სააკაშვილი, თორემ დარწმუნებული ვარ, მას რომ ონდავ მინც ამერიკის იმედი არ ჰქონდა, თვითონ, დამოუკიდებლად, რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს არ დაიწყებდა.

ამერიკამ ყველაფერზე თვალს დახუჭა, ხმა არ ამოიღო, ხანამ რუსულმა ტანკებმა წაღმა-უკედამ არ გადახნეს საქართველო და მერე გამოაცხადეს: ეს არ ჩაიდინა მთლად კარგი საქციელი რუსეთმაო.

და კიდევ, რუსეთის სინდისზე იყოს ამ ერთ ციკლზე, პატარა საქართველოში ორი ათასი ტანკითა და მთელი თავისი ძლევა-მოსილი არმიით შემოსვლა...

თუ ქართული ჯარი არ არსებობდა და მოწინააღმდეგის ძალებისთვის თუნდაც ერთკვირიანი წინააღმდეგობის გაცევა არ შეგვეძლო, რა თქმა უნდა, ომი არ უნდა დაგვეწყო, მაგრამ ჩვენ აღლწუზე გეიშენებდნენ აურაცხელ იარაღს და ყურს გეჭებოდნენ – აი, ქართული არმია ძლევა-მოსილიაო. თუ მართლა ძლევა-მოსილი იყო, მაშინ ბოლომდე უნდა მიგვეყვანა დაწვეული საქმე და ტერიტორიები უნდა დაგვებრუნებინა... თუ პირდაპირი შეტევისა და პასუხის გაცემის ძალა არ გექონდა, ხსენაიარად უნდა გვემოქმედა – უნდა დაწვეულიყო რამიე საწინააღმდეგე მოძრაობა, როგორც საფრანგეთში იყო, როცა გერმანელებმა პარიზი აიღეს, მაგრამ ჩვენთან არანაირი მსგავსი მცდელობა არ ყოფილა. მართალია, სააკაშვილი კი ვგანსხვავებს, ომი ჯერ არ დამთავრებულა და ყველაფერი წინ არისო; ფაქტია, რომ დღეს საქართველო დამარცხებულ, ოკუპირებულ ქვეყანას არ ჰგავს. არის ოკუპირებული კონკრეტები, ცეკვთამაში... შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს ქვეყანაში, რომელმაც ერთი წლის წინათ ომი წააგო?! ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს თვალში გიგები და უჭკუოები ეჩანვართ.

– მოდი, ისევე ოპოზიციის ლიდერებს დაეუბრუნეთ. რით ვლობთ ირაკლი ალასანიას მიხეილ სააკაშვილს? მასზე ხშირად ამბობენ, რომ მიშა ოია...

– მიშა ოია თუ მიშა სამი, არ ვიცი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვთხოვრებ: სააკაშვილი არის საქართველოს პრეზიდენტი და ყველა ქვეყანა იმის დირსია, როგორი ხელისუფლებაც ჰყავს. ამიტომ ყოველგვარი ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ – შენ წაი და მე უნდა მოვიღო – შეცდომად მიმაჩნია. ეს ერის გახლეჩის მცდელობაა.

პოლიტიკოსი რომ ხარ, იქნება ეს ალასანია, თუ რომელიმე სხვა ოპოზიციონერი, ჭკუით როგორ უნდა გაჯობოს მექვთამეობაზე დაჭერისა და გასამართლებულმა შალვა რამიშვილმა?! რომელიც გამოდის და აცხადებს: ველაპარაკე ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს, არაფერი ამო შეუძლიათ, ყველანი უნიტოები არიან და არაფრის შნო არ აქვთო...

ხელისუფლების შეცვლა მიტინგზე გრძელი სიტყვის თქმით და ხალხის მოტყუებით კი არ ხდება, არამედ მუხლ-ჩაუხრელი, თანამდევრული ბრძოლით, გნებავთ თავგანწირვითაც, რათა დაანახო მთელ ქვეყანას, რომ შენ შეუთესად მოველი შენს სამშობლოს, ვიდრე არსებული ხელისუფლება. მერე უკვე აღარაფერი აღარაა სატირო, ხალხი თვითონ დანიშნავს არჩევნებს და მოახერხებს ხელისუფლების შეცვლას. ამათ, ალასანიამ და სხვა ლიდერებმა, ვერანაირი გეგმა ვერ წარმოადგინეს. მათ მხოლოდ სააკაშვილის შეცვლა უნდოდათ, მაგრამ იმასაც ვერ ამბობდნენ გასაგებად, თუ რატომ უნდა შეიცვალოს საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს, რომ სწორედ ამ ლიდერებმა: ბურჯანაძემ, განეჩილაძემ, ზურაბიშვილმა, დავითაშვილმა, ძიძიყურმა და სხვაებმა მოიყვანეს სააკაშვილი ხელისუფლებაში და დღეს, როცა ყურნალისტები ვეითხებიან, რატომ არ გიწვევენ უცხოეთის დელეგაციებთან შეხვედრებზეო, რა ვიცითო, პასუხობენ ცრემლიმორეული...

– გუბაზ სანიკიძე და მის პარტიაზე რა აზრის ხართ?

– გუბაზს ძალიან დიდ პატივს ვცემ სწორედ თავისი უკომპრომისობისა და ვაკაცობის გამო; აგრეთვე, იმის გამოც, რომ ჩემი უპირველესი მეგობრის – ლევან სანიკიძის შვილია, მაგრამ გუბა, რომელიც მისი პარტია დააფუძნა, არ იყო ტადისკენ მიმავალი. ეს უკვე ნანს, უწინარესად, იმაში, რომ „ეროვნულ ფორუმს“ იმ მომხრეების მხსუთიდან არ ჰყავს, რომ საპროტესტო აქციების დროს ჰყავდა. ამის მიუხედავად, გუბაზ სანიკიძეს მაინც აქვს უფლება, რომ ოპოზიციონერად იწოდებოდეს, ოღონდ ისიც ნუ გააყოფებს ისეთ ომახიან განცხადებებს, ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით რომ მოვისმინეთ... ყველამ ვიცით, რომ ის ამის გამკეთებელი არ არის. საერთოდ, ტელევიზია არავინა არავინა ნიშნავს. საქმის გამკეთებელი ტელევიზორში არ ყვირის, ეს მხოლოდ „ორტიკის გამოშვება“ა. მერე, შენ რომ ხალხს მიხვალ, ჩემო საყვარელო გუბაზ, წყნარად დაიძინებ, დამე ერთი სამჯერ გაგეღვიძება და ფანჯარაში წუხად გაიხედავ, ხომ არავინა მოსული ჩემს დასაჭერად, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ტყეში გაევირდები თუ არ გაქცე...

ასე რომ, კიდევ ერთხელ ვთხოვრებ, თუ ამ ოპოზიციას უნდა, საზოგადოების მხარდაჭერა ჰქონდეს და დასახულ მიზანს მიღწეოს, უნდა წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა, ქვეყნის სხნისა და კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ და რა გზით აპირებთ ისინი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, უმუშეერობის დაძლევას და ყველა იმ მთავარი საკითხების მოგვარებას, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე პრობლემურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიცია ს და ხელისუფლებას შორის განსხვავებას ვერ ვხედავ, უფრო მეტიც, პირადად ჩემში უკვე ჩამქრალია ყოველგვარი რადიკალიზმი ხელისუფლების მიმართ, იმიტომ, რომ ბოლო დროს გაცილებით უფრო ცუდი შობატყლილება დატოვა ჩემზე ამ ე. წ. ოპოზიციამ, ვიდრე – სააკაშვილმა.

ორივეს გასაგონად ვაბობ – ოპოზიციისა და, განსაკუთრებით, სააკაშვილის – თუ ჭკუით არ იქნებო, საქართველო დამთავრდება, შავრენის ტყავით შემოგვეღვევა ხელში. ჩვენს ტერიტორიებს წაიღებენ (უკვე მიაქეკი) და ქართველი ერი მოისპობა, მოისრისება, როგორც ნაბუქოდონისორმა მოსხისა ვებრავდა. მერე შეიძლება ორიათას ექვსასი წელი დასჭირდეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რასაც მე ვერ მოვესწრები, ჩემო მიხეილ, მაგრამ შენ ჩამდვილადა მოიწერები, იმიტომ, რომ შენ უკვდავი და მარადიული ხარ!

ამიტომ კიდევ ერთხელ მოგმთავგონის მოდი და დაფიქრებ: საით მიჰყავს ეს გაუბედურებული ქვეყანა შენს უჭკუობას, იმ წინდაუხედავ და აუწონ-დაუწონავ პოლიტიკას, რომელსაც შენ და შენი გარემოცვა ახორციელებს!

ილტვი

ქალღი ყავის, ქარაზანი მიღის

„ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ ყველა მოლაპარაკებისას საქართველოს საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. ეს, რა თქმა უნდა, ბლეფია – საქართველოზე საგანგებოდ არხად არ უმსჯელიათ, ჩვენი ქვეყნის საკითხი სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს. ფაქტია, რომ ამერიკა მზადაა, საქართველო რუსეთს დაუთმოს და სანაცვლოდ ის მიიღოს, რაც დღეს მეტად სჭირდება – საპაერო დერეფანი ავღანეთზე, რომლის გაგლითაც 4500 ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი გაფრინდება. რუსეთი კი სანაცვლოდ მოქმედების თავისუფლებას მიიღებს პოსტსაბჭოთა სივრცეში“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა მოსკოვში 2009 წლის ივლისში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტების სამიტის შედეგებს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ.



მსოფლიოში უმდიდრეს ენერჯეტიკულ რესურსებს ფლობს და მის „საქართველო ძალაუფლებას“ შენდობა არ ექნება მანამ, სანამ ის... თავად არ იტყვის უარს დვითის მიერ ნაბოძებ ტერიტორიაზე და მთლიანად არ გადასახლდება, მაგალითად, საპარაში...
– უნდა დავეფიქროთ მექვიდრობის ამხანაგობის შექმნაზეც (Legacy Fellowship) ახალგაზრდა ლიდერთათვის. 1989 წლის რევოლუციის მომენტიდან ოცმა წელიწადმა განვლო. ეს მთელი თაობაა. ახალი თაობა გეჭირდება, რომ ტრანსატლანტიკური პარტნიორობა აღვადგინოთ.
(ჭეშმარიტად, დიდი მადლობა გულახდილობისთვის! თავიანთივე პირით აღიარეს, რომ ყველა „გადაბრუნებასა“ და „ფერად რევოლუციაში“ პოსტსაბჭოთა სივრცეში შტატებთან ერთად მათი ხელიც ერია და რომ მოვიდა დრო „ქმარას“ ახალი ბანაკების შექმნისა)

ჩემი პროგნოზი ანალიზი იყო: „ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა მსოფლიო პოლიტიკაში, როცა ოფიციალური შეთანხმების არარსებობა არ გამოიხატავს (გულისხმობს) არასაჯარო შეთანხმებას, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში – საქართველოს შესახებ“.

ბრივი აზრის გამოკითხვამ, მარშალის ფონდის გამოკვლევის ჩათვლით, სახელწოდებით „ტრანსატლანტიკური ტენდენციები“, უჩვენა, რომ ჩვენი რეგიონიც მოკვარიტიკისა და ანტიამერიკანიზმის იმ ტალღაში, რომელმაც ბოლო წლებში ევროპას გადაუარა და ბუშის მმართველობის წლებში აშშ-სადმი სიმპათია გააქარწყლა. ზოგიერთმა რეგიონულმა ლიდერმა პოლიტიკურად ზღო ერავში არაპოპულარული ომის მხარდაჭერისთვის.

ჩუნების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საკითხებსაც. მხედველობაში მაქვს მეორე მსოფლიო ომის პერიოდი“ – ეს სიტყვები ხომ აშშ პრეზიდენტმა ობამამ ა.წ. 6 ივლისს წარმოთქვა, რომელმაც თავის ქალიშვილ ნატაშას სახელი პუშკინის მეუღლის პატივსაცემად დაარქვა...
– ჩვენს დედაქალაქებში მღელვარება იგრძნობა. გვიანდა, აუცილებელი ზომები მივიღოთ იმისათვის, რომ დასავლური ინტერესების მეტისმეტად ვიწრო გაგებაში რუსეთთან მცდარ დათმობებამდე არ მივკვივანო. დღეს ვლადავთ იმის გამო, რომ აშშ-მა და ევროპის ძლიერმა სახელმწიფოებმა შესაძლოა, მედვედევის გეგმა მიიღონ, რომელიც ფასეულობებზე დამყარებულ კონტინენტის უსაფრთხოების სტრუქტურის შეცვლას ე. წ. „სახელმწიფოთა ხელშეკრულებით“ გეთავაზობს. საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ მცოცავი დაშნება და ღობიზში რუსეთის მხრიდან დროთა განმავლობაში რეგიონის ფაქტობრივ ნეიტრალიზაციამდე მივკვივანს!

P.S. „ყოველთვის გამბობდი – ამ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში საქართველოს გამოყენებენ და მიაგდებენ, როგორც ყოველთვის, როცა ჩვენ გვიჭირდა! ამის დასტურია მოვლენებიც, რომლებსაც ადგილი აქონდა გასული წლის აგვისტოში, როცა, გარდა ხმამაღალი სიტყვებისა, აზრადაც არავის მოსვლია კიდევ რთიმე დაგეხმარებოდა. ასე მოხდა ახლაც...“ რამდენჯერ უნდა გამიგოროს ალექსანდრე ჭაჭიამ ეს სიტყვები?! არადა, რუსეთის პრეზიდენტის მედვედევის ცხინვალში ვიზიტიცა და პრემიერ პუტინის ვიზიტიც სოხუმში განა კიდევ ერთი დასტურია არა იმისა, რომ კრემლმა და ვაშინგტონმა „გადატვირთეს“ თავიანთი ურთიერთობა და შეთანხმდნენ საქართველოს თაობაზეც (რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპულ ექს-ლიდერთა ზემოთ განხილულ წერილზე)“
ნუთუ მართლა უნდა გვექონოდა იმის იმედი, რომ თუნდაც პილარი კლინტონის ამასწინანდელ მოსკოვურ ვიზიტს საქართველოსათვის რამე შედეგი მოჰყვებოდა. ენა გაისველა, კიდევ ერთხელ განაცხადა აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობას არ ვაღიარებთო და ამით ამოიწურა მთელი დახმარება. როგორც იტყვიან, ამერიკული ძალი ყვეს, რუსული ქარავანი კი კვლავ თავისი გზით მიეშურება...
ბრაზისა და დოლარებისგან „გამწვანებული“ ჩვენი პოლიტიკოსები, პროტეოპოლიტოლოგები და „სამეფო კარის“ ჟურნალისტები ამას ჯიქურ ვერ ხედავენ, ამისთვის არც სცალიათ – ამერიკიდან ელოდებიან პრობლემატების გადაჭრას: ხელისუფლება და ოპოზიცია მეტოქეობენ, რომელი უფრო „ზოლიანი“ და „გარსკვლავერი“, ანუ პერსპექტიული გამოიჩნდება... თუმცადა მგონია, რომ „ზოლიანი ეშმაკთა ვარსკვლავი“ ჩაქრა და ამერიკელები ახლა იმისთვის ჩამოდიან საქართველოსა და მოსკოვში, რომ მიღება-ჩაბარების აქტს“ მოაწერონ ხელი (რომელსაც „ახალ პროექტს“ დაარქმევენ) და გვითხრან: „გულ ბაი“!

და, აი, დიმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ეს პროგნოზი დადასტურდა – 2009 წლის 16 ივნისს აღმოსავლეთ ევროპის ექს-ლიდერებმა (ვალდას ადამუხისი – ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი, ემილ კონსტანტინესკუ – რუმინეთის ყოფილი პრეზიდენტი, ვაცლავ ჰაველი – ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი, მიხაელ კოვაჩი – სლოვაკეთის ყოფილი პრეზიდენტი, ალექსანდრე ევანესკი – პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი, გაიარა ვიკე ფრებიერგა – ლატვიის ყოფილი პრეზიდენტი, ლეს ვალენსა – პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი, მათიას იორში – უნგრეთის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, მარტი ლაარი – ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი, და სხვები) სკკპ-ს საუკეთესო ტრადიციებით, დაწერეს „ღია წერილი ობამას ადმინისტრაციას ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპისგან“, სადაც 22 ხელმოწერილი დელაგს იმის გამო, რომ ვაშინგტონში მოსვლა დაპყვია და მსოფლიო უანდარმის როლზე უარს თქვა, რითაც ბედის ანაბარა მიაგდო ნატოს „დასუსტების გამო“ დაუცველი ევროპა...“

(აქ ისინი, რასაკვირველია, ჭეშმარიტებას დადადებენ – არც ერთ ხალხს არ უყვარს ომი – ნებისმიერი აგრესორი და მათი მეგობრები არაპოპულარული არიან და განისჯებიან: სიცოცხლეში – ხალხის, ხოლო შემდგომში – ისტორიის მიერ... ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, ვის როგორ გაუმართლებს!)

– ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სცენაზე გამოდის ლიდერთა ახალი თაობა, რომელიც გაცილებით „რეალისტურ“ პოლიტიკას ახორციელებს. ამავე დროს, ყოფილი კომუნისტური ელიტა... თანდათან ჩამოდის პოლიტიკური სცენიდან. სანაცვლოდ მოსულმა ახალმა ელიტამ შეიძლება არ გაიზიაროს (ჩვენი) იდეოლოგია, შესაძლოა, ანგარებით მიუღვას აშშ-ის მხარდაჭერის საკითხებს და გაცილებით ვიწრო მსოფლმხედველობა აქონდეს. ვაშინგტონში ამგვარივე ცვლილებები ხდება იმ დროს, როცა ბუერი ლიდერი და პიროვნება, რომელთანაც ჩვენ ვეშვობდით და ვისი იმედიც გვექონდა, პოლიტიკიდან მიდის. ჩვენი საკუთარი ისტორიული გამოცდილებით ვხედავთ განსხვავებებს იმას შორის, როცა აშშ თავისი ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების სადარაჯოზე დგებოდა და როცა ამას არ აკეთებდა. ჩვენი რეგიონი დაზარადა, როცა ამერიკის შეერთებული შტატები იალტაში „რეალიზმის“ კონცეფციას დაეპყვლა და სასარგებლო გაკეთილი მიიღო, როცა შტატებმა ძალა გამოიყენა თავისი პრინციპების დასაცავად. 1990-იანი წლების დასაწყისში „რეალისტურ“ შეხედულებებს რომ გაემარჯვებინა, დღეს არ ვიქნებოდით ნატოში, ხოლო ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეა შორეულ ოცნებად დარჩებოდა.

არნო ხილირბეგიშვილი:
„ციტატა-შესხენება
უახლოეს ხანში ევროპაში საქართველოს „მიღების“ უამრავი დაპირება, რომლითაც ხელისუფლება წარამარა ატყუებს ხალხს, ზღაპარი, რომელიც მიაძიმთა გასულელებისთვისაა გამიზნული. გარდა ამისა, დასავლეთი საქართველოს არ განიხილავს როგორც ცალკეულ გეოპოლიტიკურ ერთეულს. ასეთ ერთეულად განიხილება კავკასია, უკიდურეს შემთხვევაში – ამიერკავკასია. ხოლო ფიქრი იმის შესახებ, რომ ევროპაში მიღებულ იქნას კონფლიქტური კავკასიონი რეგიონი მისი მრავალმილიონიანი, მშვიერი მოსახლეობით (მსოფლიო რესურსთა დეფიციტის პირობებში), აზრად არ მოუვა ყველაზე სულგრძელ ევროპულ პოლიტიკოსსაც კი...
ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის დეკემბერი“.

წერილის ტექსტის გაცნობის შემდეგ ხელები, რომ „ინტელიქტუალები, აშშ-ის მეგობრები, ატლანტიკის ხმებისა და ევროპის მომხრეები“ (როგორც საკუთარ თავს უწოდებენ), არა იმდენად ევროპის და საქართველოს, ბედ-იბაღზე, არამედ საკუთარ მომავალ ხედვარზე უწახან: რადგან თუ აშშ-მ და რუსეთმა „გადატვირთეს“ თავიანთი ურთიერთობები, რუსეთისგან ბოროტების მსოფლიო ფეტიშის შექმნის მათი მრავალწლიანი შრომა დაიკარგება, ზოგიერთს კი ალბათ, სტრასბურგის სასამართლოს ან პაპის ტრიბუნალის წინაშე წარდგომა მოუწევს...
მაშინ პრესამ მოიყვანა ზოგი ფრაზა, ამ წერილიდან:

(აქ მხელია, „ცივი ომისა“ და კონფონტაციული აზროვნების იმ ძველი დროების ნოსტალგია არ იგრძნობ, როცა ცერეუ და პენტაგონი ამ „სუფთახედიან“ „იდეალისტებს“ სსრ კავშირის დაშლისას და ვარშავის ხელშეკრულების გაუქმებისას აშშ-ის მიერ შექმნილი მართონეული რეჟიმების პრეზიდენტთა საგარეოებაში სვამდა! რაღა თქმა უნდა, ისინი უკმაყოფილო არიან, რომ „კომუნისტური ელიტა წარსულს ჩაბარდა“ და ის ახალმა, პუტინის, მედვედევის, ობამას მსგავსმა – ქრონოლოგურ თანმიმდევრობას ვიცავ – რეალისტმა ლიდერებმა შეცვალეს, რომლებიც თავისი ხალხის და არა ყბადღებული „ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებით“ ხელმძღვანელობენ... ამგვარ კონტექსტში იალტის კოფერენციის ხსენებისას ისინი შეურაცხყოფას აყენებენ 1941-1945 წლებში ფაშისმის წინააღმდეგ ომის მონაწილე ხალხებს, შეურაცხყოფენ სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის ხსონებს! „გაგანსოვს ის მშვენიერი პერიოდები, როცა ჩვენი ქვეყნები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ, წვევტდნენ ურთულეს საკითხებს, მათ შორის - მშვიდობის შენარ-

– „ცივი ომის“ დასრულებიდან 20 წლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ამერიკის საგარეო პოლიტიკის საფუძველს აღარ წარმოადგენენ. იმ დროს, როცა ობამას ადმინისტრაციას საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს ადგენს, ჩვენი რეგიონი მსოფლიოს იმ ნაწილად იქცევა, რომელიც ამერიკელებს აღარ ადევლებთ... ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა პოლიტიკურ გზავასაყარზე დგას და დღეს რეგიონში მზარდი ნეგროზულობა შეინიშნება.

(აქ უკვე პირდაპირ ულტიმატუმი შტატებისადმი: აქალა, თუ ვიბროძელებთ ერავსა და ავღანეთში, არ ნატო ჩვენს სახლებში არ დაგვიცავსო!)
– ჩვენ აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ ენერჯეტიკული უსაფრთხოების საკითხი. საფრთხეა, რომელიც ენერჯორესურსების მოწოდებას ემუქრება, შესაძლოა, მკისიერი გავლენა მოახდინოს ჩვენი ერების პოლიტიკურ სუვერენიტეტზე. მათ შორის, როგორც მოკავშირეებზეც, რომლებიც ნატოს ფარგლებში საერთო გადაწყვეტილებას იღებენ. ჩვენ ელოდებოდა უნდა გავეწიოთ რუსეთის მიერ თავისი მონოპოლიური მდგომარეობისა და ევროპის ბაზარზე საკარტელო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მკაცრ იურიდიულ შემოწმებასაც.
(მათი აბსურდული ლოგიკით გამოზღინარე, რუსეთი „ძალიან აშავებს“, რომ

(საინტერესოა, რატომ უნდა იფიქროს ამერიკელმა ხალხმა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებზე, თანაც, ეკონომიკური კრიზისისას? მსოფლიოში ვინაა დემოკრატიული ფასეულობების ისეთი მომხრე, რომ მათ გამო მსხვერპლად გაიღოს ევროპული ინტერესები?! და რაკიღა „ავადმყოფი“ 20 წლის მერეც („ცივი ომის“ დასრულების) დამოუკიდებლად „ფეხზე ვერ წამოდგა“, ის ან უიმედო ავადმყოფია, ან არასწორად უმკურნალებს).
– ჩვენ ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკის პოპულარობა და გავლენა ბევრ ჩვენს ქვეყანაში შემცირდა. საზოგადოე-



ლავრენტი ბერია — ქართული ბენია



სერგეი კრემლიოვი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი თარგმანი როლანდ ჯალალანიანი

ასე რომ, საქართველოს ისტორიულ ნარკვევებზე სტატიაში, ქვეთავით **“მუშათა მოძრაობის დასაწყისი და სოციალ-დემოკრატია”** პირველად ნახსენებია ფილიპე მახარაძე. აქვე მოყვანილია მისი ციტატა, რომელიც ასე იწყება: **“1894 წელს საფუძველი ეყრება პირველ მარქსისტულ ჯგუფს...”** და ა.შ. და ესეც გარკვეული მინიშნებაა მკითხველისათვის: პირველად კავკასიაში ბოლშევიკური **“მიაჟი”** დაიბაზა არა ამხანაგმა სტალინმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას დიდი როლი არ უთამაშია კავკასიაში მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში.

მაშ ასე, პირველად მოხსენიებულია ფილიპე მახარაძე... მაგრამ, იქნებ შემდეგ მაინც არის მოხსენიებული სტალინის სახელი? არავითარ შემთხვევაში — მას მეორე ადგილიც კი არ უჭირავს... ვინაიდან, მეორე კაცად მოხსენიებულია ნოე ჟორდანიანი... მართალია, იგი დახასიათებულია როგორც **“მემარჯვენე-ოპორტუნისტული”** მიმდინარეობის ლიდერი, განსხვავებით **“ორთოდოქს-მარქსისტებისაგან”**, რომელთა სათავეში იდგნენ მისა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სოსო ჯულაშვილი (სტალინი) ალექსანდრე წულუკიძე და სხვები...

მაშ ასე, იოსებ სტალინი მოხსენიებულია მხოლოდ მეოთხე ნომრად. შემდეგ კი მაინც ჟორდანიანს მოღვაწეობაა მიმოხილული მეტად ვრცლად. და მხოლოდ შემდეგ, ავტორი აღნიშნავს, რომ 1903 წლის დასაწყისში **“ირჩევენ საბჭოს კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედიან უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი (შემდგომში “ბოლშევიკები”) ცხაკაია, მახარაძე, კუნიაძე, ზურაბოვი, წულუკიძე, ბოჭორიშვილი, სტალინი და სხვები”**. ავტორი კბილებში გამოცხადებს, რომ ამიერკავკასიის რევოლუციური ფრთაში ხელმძღვანელად აღვიფს თანდათან იკავებს სტალინი.

მაგრამ შემდეგ, 582-598 გვერდებზე, ქვეთავებში **“ორ რევოლუციას შორის”**, **“ხელისუფლების ორგანიზაცია თებერვლის რევოლუციის პერიოდში”**, **“ოქტომბრის რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა საქართველოსათვის”**, **“ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან”**, **“მენშევიკური დიქტატურა საქართველოში”**, **“ბოლშევიკური ორგანიზაცია 1918-20 წლებში”**, **“გლეხების 1918-1921 წლის აჯანყება”**, **“მენშევიკთა ხელისუფლების დასასრული”** და **“მენშევიკთა ანტისაბჭოთა მოღვაწეობა”** სტალინის სახელი საერთოდ არ არის ნახსენები.

საერთოდ! **“რენეგატი ჯუღელიც”** კი არის მოხსენიებული (ალბათ იმიტომ, რომ იგი ძალზე მიაგავს გვარ ჯულაშვილს), სტალინის სახელი კი — არა!
ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საკუთარ თავს ვარაუდობდი და ტექსტს კიდევ ერთხელ გადავხედე — არა, ყველაფერი ასეა — სტალინის ხსენებაც კი არ არის.

ასევე არ არის ნახსენები სერგო ორჯონიძის სახელი, არც კიროვის სახელი... სამაგიეროს რამდენჯერმე არის მოხსენიებული ნოე ჟორდანიანი, ასევე მახარაძე,

ნახარეთიანი, ქავთარაძე, მრავიანი, ცხაკაია, შაუმიანი და ჯაფარიძე (ორი უკანასკნელი ბაქოს 26 კომისართა შემადგენლობაში დახვრიტეს), ოკუჯავა, ორახელაშვილი **“და სხვები”**.

სტალინი, როგორც ჩანს, ამ **“სხვებში”** მოხვდა. **“დემოკრატები”** კი ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ ანტიპარტიულ ცენტრთა მოღვაწეობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოგონებულია.

ამ ენციკლოპედიის ბიბლიოგრაფიაში ასევე არაა მოხსენიებული სტალინის ნაშრომები. სამაგიეროდ, გამოყენებულია ფილიპე მახარაძის, ელენე დრახინას და ვიდაც გ. ნათაძისა და ს. კაკაბაძის შრომები.

და ეს არის დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მოსკოვში გამოცემული! უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ იქნებოდა თვით საქართველოში საქმე ბერიაძე, როცა რესპუბლიკას ხელმძღვანელობდნენ **“მარქსიზმის პარტიარტები”** მდივანი, ელიაშვილი და ორახელაშვილი!

ასე რომ, იყო თუ არა აუცილებელი, რომ სტალინის როლის თაობაზე ახალგაზრდა კომუნისტებს, კომკავშირეებსა და უპარტიო ახალგაზრდებს ეხრუნათ? არა და, პიონერებიც ხომ იზრდებოდნენ? ის კი არა, ვინც 1921 წელს დაიბადა, 1935 წელს უკვე კომკავშირეები იყვნენ.

ახალგაზრდებს დიდად არ სჯერათ მხოლოდ სიტყვიერი მტკიცებულებების. ენციკლოპედიაში სტალინის ნაშრომები საერთოდ არ არის ნახსენები, სამაგიეროდ, **“აღიარებული ბოლშევიკები”** მისა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიაშვილი და მამია ორახელაშვილები გაოცებულს ვერ მალავენ: **“როგორი ბელადია იგი?”**

მენშევიკები კი ჩურჩილებენ: ისეთი ბრძენი კაცი, როგორც იყო ნოე ჟორდანიანი, სტალინს ბარბაროსად მოიხსენიებდა.

ახალგაზრდა თაობას კი არ შეიძლება იყო არ დაბადებულა შეკითხვა: **“მართლაც იყო თუ არა სტალინი ამიერკავკასიის №1 ბოლშევიკი და “კავკასიელთა ლენინი”, როგორც ახლა ამას გაზუთი “ზარია ვოსტოკა” წერს?”**

ამას უბრალოდ ახსნა შეიძლება მოექმნოს — ეს არ გახლდათ შემთხვევითი უყურადღებობა, რადგან მამია მიმდინარეობდა ბრძოლა ტროცკისტებსა და ბოლშევიკურ ბირთვს შორის, რომელსაც სათავეში სტალინი ედგა. და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული სტატიის **“ობიექტურობა”** იმის დასტური იყო, რომ ტროცკისტებისა და ოპოზიციონერების მიერ (ვიმორები — ისინი ენციკლოპედიის საბჭოში მრავლად იყვნენ) გაანდობულ ბრძოლაში გამოიყენებოდა ნებისმიერი მეთოდი. ტყუილად კი არ დაავიწყდათ ქართველ **“ენციკლოპედისტებს”** არა მხოლოდ სტალინის, არამედ ორჯონიძისა და კიროვის ხსენებაც, და ანასტას მიქოიანისიც...

ფაქტობრივად ოპოზიცია მხოლოდ კი არ ამოხიზნა სტალინის როლს ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის საქმეში, არამედ, ცდილობდა დაეკინებინა სტალინის როლი ქვეყნის აღმასწავლებლობის საქმეშიც, რომელსაც ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ მიჰყავდა საბჭოთა კავშირი.

ახალგაზრდობა კი მოკლებული იყო რეალური ისტორიის გაცნობის საშუალებას. და ეს ინფორმაციული ვაკუუმი გარკვეულწილად შეავსო ბერიას ბროშურამ, მაგრამ კიდევ უფრო უპრიანი იქნებოდა სტალინის ნაშრომების ხელმეორედ გამოცემა. ეს ჭორებსაც უკუაგებდა და ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმესაც შეუწყობდა ხელს.

სტალინი ხომ ჭეშმარიტად დამსახურა, რომ მისთვის **“კავკასიელი ლენინი”**

წოდებინათ! იმსახურებდა როგორც ბოლშევიკური მოძრაობის პრაქტიკოსი და როგორც მისი იდეოლოგი.

ასე რომ, ბერია მლიქვნელი კი არ არის, არამედ პოლიტიკოსია, რომელიც დაინტერესებულია მასების პოლიტიკური აღზრდით.

ასე არ არის? სტალინი კი მოითხოვდა, რომ ბერია პოლიტიკურად აუქლებინა, რომ მეორედ არ გამოეცა ნაშრომი მისი სანქციის გარეშე. ბერია მცდელობა კი ახდენდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ფრიად ობიექტური და აქტუალური დაღვინების ინიცირებას — **“მინეულ იქნას აუცილებლად სტალინის ნაშრომთა სრული კრებულის გამოცემა და დაევალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს... შეიმუშაოს საგამოცემო გეგმა”**.

“იმელის” დირექტორის მოადგილედ მამია ორახელაშვილი მუშაობდა. მაგრამ, მან და სხვებმა იმდენად **“დაჩქარეს”** ამ კრებულის გამოცემაზე მუშაობს, რომ წინაშე მისი შუქი იხილა მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ (პირველის გამოცემის ავტორის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1946 წლის იანვრით).

აი, როგორია **“პიროვნების კულტისათვის”** დამახასიათებელი ერთ-ერთი წერილმანი...

როგორ გგონიათ, **“კობას ნაჯღაბისათვის”** ეცალა მამია ორახელაშვილი? 1935 წელს იგი დღედაღამ პარტიიდან ახლადგარიცხულ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებულ აბელ ენუქიძესთან ერთად იჯდა, რომელიც საკავშირო აღმასკომის რწმუნებულად მუშაობდა კისლოვდსკში, მინერალუოვის ჯგუფთან ერთად. სექტემბერში სტალინი სოჭიდან წერდა:

“ენუქიძე არ აღიარებს საკუთარ დაცემას და არც თავმდაბლობა აწუხებს... პილიტიკოზანას თამაშებს, თავს უყრის უმეყოფილებებს და საკუთარ თავს პარტიის განვითარებული ცხარე მოვლენების მსხვერპლად აცხადებს...”

აი, როგორ ვითარდებოდნენ მოვლენები პარტიასა და ქვეყანაში! ერთის მხრივ სტალინი და ბერია საკუთარი მხრებით ეზიდებოდნენ ყოველდღიურს სახელმწიფოებრივ საქმეებს. მეორე მხრივ კი: **“სტალინის მსხვერპლი”** — გახრწნილი ენუქიძე და **“ბერიას მსხვერპლი”** — თავგასული ორახელაშვილი.

და დღედაღამ, ეს დაპირისპირება, მთლიანად ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, განუხრელად მწვავედობდა.

ის ამ მხარეში არასოდეს შესუსტებულა. პოლიტიკასთან დამოკიდებულებაში ხომ საქართველო ყოველთვის გამიორჩეოდა თავისი სირთულით.

აღმოსავლეთი რომ უაღრესად ფაქიზი საქმეა, ეს ჩვენ კარგად ვიცით. საქართველოში, რუსეთის ყველა აღმოსავლეთ რეგიონებს შორის საქართველოში ყოველთვის განვითარებული იყო პოლიტიკური ინტელიგენტობა.

ეგროპული მასშტაბებით თუ მიუვადებთ, შუა აზია ჯერ კიდევ პოლიტიკურ ქაღალად რჩებოდა. აზერბაიჯანზე მიმდინარეობდა ძლიერი კონსოლიდირებული დაწოლა, იმდენად, რამდენადაც ნავთობი აფრიკაშიც ნავთობია. რაც შეეხება სომხეთს, რომელიც ნაციონალისტი პოლიტიკოსებით იყო გადაჭყდილი, მათ შორის ნაკლებად მოიქმნებოდნენ რუსეთის პოლიტიკურ არენაზე წარმატებით მისაპარეხე პოლიტიკოსები. ასე რომ, საქართველოს ყველას ნახსენებია

ჯიბეში.

ჟორდანიანი, გეგეჭკორი, წერეთელი — ესენი მთლიანად რუსეთის პირველი სიდიდის **“ვარსკვლავები”** იყვნენ. ბერია ქართველი პოლიტიკოსი ბაძაღვა მათ, თუმცა ნაციონალურ პოზიციაზე შორს მაინც ვერ მიდიოდნენ.

სამწუხაროდ, **“ვარსკვლავის”** ამბიცია გაანდა ბერე წამყვან ქართველ ბოლშევიკსაც. საქართველოში კი, როგორც რევოლუციამდე იყო პოპულარული მენშევიზმი, ახლა იგივე პოპულარობით სარგებლობდა ტროცკიზმი. მხოლოდ არა პოლიტიკური მნიშვნელობით — ქართველ ბოლშევიკებს დიდად არ აღაფრთოვანებდა მსოფლიო რევოლუციის იდეა, ფსიქოლოგიური მნიშვნელობით კი — ისე რა!

კორნეი ჩუკოვსკის აქვს შექმნილი ტროცკისტთა შესანიშნავი ფსიქოლოგიური პორტრეტი თავისი 1933 წლის 28 ნოემბრის დღიურში, სადაც იგი წერდა:

“ტროცკისტები ყოველთვის მძულდა არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური მოღვაწეები, არამედ როგორც ხასიათის გამოვლინება. მე არ მიყვარს მათი მიდრეკილება ფრანკოლოგიისადმი, მათი ექსტიმულიზაცია, მათი პათეტიკა. მე ვერასდროს ვიტანდი ესთეტიკურად მათ ბელადს: თავისი ქონჩით, ჩამოქნილი წვერით, პროვინციული დემონიზმით. ესაა მეფისტოფელისა და ნავიცი მსაჯულის რწმუნებულის ნარევი...”

ეს პორტრეტი დამახასიათებელი გახლდა ბერიას მრავალი კავკასიელი პოლიტიკური ოპონენტისათვის.

და ეს ოპონენტები მას საკმარისად ჰყავდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, რომელიც აშკარად სჩანს თუნდაც სტალინის წერილში, რომელიც მან 1933 წლის 2 ნოემბერს სოჭიდან მოსკოვში გადააგზავნა:

“კავანოვის, მოლოტოვის, პრავდის” დამოკიდებულება ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების მიმართ რაღაც უცნაურ ხასიათს იძენს. ნავთობის, ბამბულის, აფხაზეთის თამბაქოს წარმოების მხრივ ამიერკავკასიის ფედერაციამ და ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ამის თაობაზე “პრავდაში” შესაბამისი პატარა შესული. გაზეთი კი ამ ფაქტს ჩქამლავს და პატარებს არ აქვეყნებს. ქვეყნდება ჩუგაშეთის და უდმურტეთის პატარები. ამიერკავკასიის პატარები კი “პრავდაში” “ლკება”, გაზეთი ხოტბას ახსმას ბარინოვს, რომელიც ფაქტობრივად მუხრანის ნავთობის მოპოვების საქმეში, პარტორგანიზაციების დამსახურებაზე კი არაფერს ამბობენ. და ამ უმსგავსეობას უშვებს პარტიის ორგანო “პრავდა”. ვფიქრობ, რომ ამაში დამნაშავეა კახიანი, რომელიც მტრად არის გადაკიდებული ამიერკავკასიის ახლანდელ ხელმძღვანელობას. დროა, ბოლო მოვლოს ამგვარ უმსგავსეობას! დროა, “პრავდის” ხელმძღვანელობა გაიწმინდოს მემარცხენე ბურჟუაზია რადიკალების — კოსტანიანის, ლომინაძისა და სხვა “მეგობრებისაგან”.

სტალინი”. ბარინოვი გახლდათ 45 წლის კაცი, ტრესტ **“ახანავთობის”** მმართველი, ძველი ბოლშევიკი (მრავალი მათგანი, სხვათა შორის, უკვე აელენდა სრულ შეუსაბამობას დაკავებულ თანამდებობასთან).

კოსტანიანი იყო სომხეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

კახიანი — **“პრავდის”** სარედაქციო კოლეგიის წევრი, მაგრამ, მას და ლომინაძეს მე მოგვიანებით დაუბრუნდები, ახლა კი იმას აღვნიშნავ, რომ კახიანი ჩქამლავდა მისი მშობლიური მხარის — ამიერკავკასიის წარმატების აღმნიშვნელ ინფორმაციას მხოლოდ იმიტომ, რომ მტკივნეული ჩხვლეტა მიეყენებინა ბერიასათვის.

გაგრძელება იქნება

“კოლხები – ქართველების წინაპრები”

მართალია, იბერები (ქართველები) და კოლხები (მეგრელები) ერთდროულად ხალხები, მაგრამ ისინი სხვადასხვა ხალხებად რომ მივიჩნიოთ, ფაქტობრივად, მაინც ისინი არიან ქართველი ერის ძირითადი შემოქმედნი, ვინაიდან იბერებში (ქართველებში) მოიაზრებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრები, ხოლო კოლხებში (მეგრელებში) – დასავლეთ საქართველოს მკვიდრები. სათანადოდ, ქართველთა საკითხში ქართველებს არავითარი უპირატესობა არ აქვთ მეგრელებთან შედარებით.

მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართველთა უმეტესობა დღესაც ფიქრობს, თითქოს ქართველი ძირითადად ქართველია, ხოლო სხვა კუთხის მკვიდრნი თითქოს იმდენად ხდებიან ქართველები, რამდენადც ისინი ქართველებიან, მაშინ, როდესაც “ქართველი” ზოგადეროვნული ცნებაა და მასში ნებისმიერი ქართული კუთხის მკვიდრი ისევე მოიაზრება, როგორც ქართველი, მით უმეტეს, ქართველიც ისევე ხდება ქართველი, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული კუთხის მკვიდრი...

არადა, ის, რომ უპირველესად ქართული ითვლება ქართველად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძირითადად “ქართლის ცხოვრების” დამსახურებაა, ვინაიდან მასში ქართველთა ეთნოგრაფიულად მხოლოდ ქართლისა დასახელებული, ქართლი ფაქტიურად გაიგივებულია საქართველოსთან, ქართული – ქართველთან და ხალხიც, მათ შორის მეცნიერთა უმრავლესობაც, მიიჩნევს, თითქოს ჩვენს ქვეყანას “საქართველო” და მოსახლეობას “ქართველები” ეწოდათ “ქართლისა” და “ქართლების” გავლენით, რაც ამჟამად მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს და არც ისტორიული მოვლენებით მტკიცდება.

და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას “საქართველო” და მის მკვიდრებს “ქართველები” ეწოდათ იმიტომ, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III ბაგრატიონი (978-1014 წ.წ.), რომელსაც წილად ხვდა საქართველოს გაერთიანების მისია, სამხრეთ ქართველთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო.

ამ ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოში.

ისტორიული მოვლენების შედეგად, V-VI საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს მეფე გახდა მისი ერთ-ერთი საერისთავოს, ლაზიკის მმართველი დინასტიის წარმომადგენელი.

სწორედ ამ ეპოქაში ეგრისის სამეფოს ეწოდა “ლაზიკის სამეფო”, ხოლო მკვიდრ მოსახლეობას – მეგრელებს, მათ შორის აფხაზებს, სვანებს, მარგველებს – “ლაზხები”.

ასეთივე მოვლენა განვითარდა VIII-X საუკუნეებში, როდესაც ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა აფხაზეთის საერისთავოს მმართველი დინასტიის წარმომადგენელი, რის გამოც ეგრისის სამეფოს ეწოდა “აფხაზთა სამეფო”, ხოლო მოსახლეობას – მეგრელებს, მათ შორის ლაზხანებს, მარგველებს, სვანებს – “აფხაზები”. ამ მოვლენას არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია, არც ეთნიკური, არც ენობრივი და არც სარწმუნოებრივი, ვინაიდან ძირითადი მოსახლეობა ისევ მეგრელები იყვნენ, მით უმეტეს, აფხაზები ერქვათ აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს.

სწორედ ასეთივე მოვლენა განვითარდა ერთიან საქართველოს სინამდვილეში.

X საუკუნის ბოლოს, ეგრის-აფხაზეთის მეფე გახდა უსინათლო და უშვილო თეოდოს II (975-978 წ.წ.), რომელმაც თავის მემკვიდრედ გამოაცხადა დის შვილი, სამხრეთ ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) მეფის ბაგრატ II ბაგრატიონის შვილიშვილი, რომელიც ისტორიაში შევიდა ბაგრატ III-ის სახელით.

მართალია ამის შემდეგ ეგრისის სამეფოში შექმნა აფხაზური დინასტიის ზეობა, მაგრამ ეს იყო უადრესად ბრძნული გადაწყვეტილება, რაც იძლეოდა საშუალებას, საქართველო დინასტიური გზით გაერთიანებულიყო, რადგან ბაგრატ III-ს, როგორც ბაგრატ მეორის შვილის შვილს და

თეოდოს II-ის მემკვიდრეს, ფაქტობრივად, სამი სამეფო მემკვიდრეობით ერგებოდა – ეგრის-აფხაზეთი და იბერია (ქართლი), იბერია (ქართლი) კი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჰქონდა შემოერთებული.

სამწუხაროდ, საქართველოს გაერთიანება ასე იოლად არ მომხდარა, მას შემდეგ, რაც ბაგრატ მესამე გახდა ეგრის-აფხაზეთის მეფე (978 წ.), ის თითქმის 30 წელი მოუწია საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას და როდესაც მამის, გურგენის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო სამხრეთ ქართველთა სამეფო, ფაქტობრივად შეძლო საქართველოს გაერთიანება და გახდა მისი პირველი მეფე (1010 წელი) ტიტულით – ბაგრატ III – “მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა”.

ბაგრატ III-ის ტიტულატურაში ხსენებული ტერმინმა “ქართველთა”-მ საფუძველი მისცა ქართველი მეცნიერების დიდ ნაწილს ევრაზიაში, თითქოს მის ქვეშ მოიაზრებოდნენ ქართველები და ჩვენს ქვეყანას “საქართველო” ეწოდა ქართლის გავლენით და მოსახლეობას “ქართველები” – ქართველების გავლენით.

მართალია, ეს მოსაზრება დღესაც დომინირებს, მაგრამ ეს ასე არ არის და აი, რატომ – VI საუკუნეში სპარსებმა იბერიაში (ქართლში) მეფობა გააუქმეს და სამეფოს ერისმთავარი მართავდა, მაგრამ VIII საუკუნეში არაბებმა ერისმთავრობაც გააუქმეს, რის გამოც ერისმთავარი იძულებული გახდა, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში – ტაო-კლარჯეთში გადასულიყო.

ყოფილი იბერიის (ქართლის) სამეფოს ტერიტორიას ფეოდალები მართავდნენ და VIII-X საუკუნეებში ის ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა.

ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი I-მა (861-868 წ.წ.) შეძლო ამ ტერიტორიის დაპყრობა და თავის სამეფოსთვის შემოერთება.

ბაგრატ III-ის მეფობის ეპოქაშიც იბერიის (ქართლის) სამეფოს ტერიტორია (თბილისის გარდა) ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ტიტული იყო ბაგრატ III “მეფე აფხაზთა”, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ტერმინ “აფხაზთა” ქვეშ მოიაზრებოდა ეგრისი და იბერია.

IX საუკუნის დასაწყისში იბერიიდან (ქართლიდან) განდევნილმა ერისმთავარმა აშოტ I დიდმა შეძლო, სამხრეთ საქართველოში, ტაო-კლარჯეთში სამეფო ჩამოეყალიბებინა, რომელსაც “ქართველთა სამეფო” ეწოდა.

სხვათა შორის, რატომ ეწოდა “ქართველთა სამეფო” დღესაც დაუდგენელია, მით უმეტეს არც კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში, არც იბერიის (ქართლის) სამეფოში, როგორც ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, დასახელებულ ტერიტორიულ ჯგუფებში ქართველები საერთოდ ნახსენები არ არიან.

ერთი კი ფაქტია, “ქართველთა სამეფოში” შედიოდა ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი და ქართველებად იწოდებოდნენ იქაური მკვიდრები – მესხები, ჯავახები, კლარჯები, შავშები.

როდესაც ბაგრატ III-მ მემკვიდრეობით მიიღო “ქართველთა სამეფო” (1008 წელი), მხოლოდ ამის სქემდე გახდა მისი ტიტული – ბაგრატ III – “მეფე აფხაზთა და ქართველთა”. სწორედ ის გარემოება, რომ ამის შემდეგ დამატდა მეფის ტიტულს ტერმინი “ქართველთა”, მეტყველებს იმაზე, რომ მის ქვეშ მოიაზრება სამხრეთ ქართველთა სამეფო და არა ქართლი.

ამდენად ცნებების “საქართველო”-ს და “ქართველი”-ს დამკვიდრება არ არის დაკავშირებული ცნებებთან “ქართლი” და “ქართლები”.

ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, ჩვენს ქვეყანას გაერთიანების შემდგომ “საქართველო” და მის მკვიდრებს “ქართველები” ეწოდათ იმიტომ, რომ ერთიანი ქვეყნის პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი სამხრეთ ქართველთა სამეფო დინასტიის, ბაგრატიონების წარმომადგენელი იყო, რაც ისეთივე მოვლენა გახლდათ, როგორც აღინიშნა ეგრისის სა-

მეფოში; მას “ლაზიკის” სამეფო ეწოდა, როდესაც მისი მეფე გახდა ლაზური დინასტიის წარმომადგენელი და “აფხაზთა სამეფო”, როცა მისი მეფე გახდა აფხაზური დინასტიის წარმომადგენელი.

დრმად დარწმუნებული ვარ, ერთიანი საქართველოს სამეფოს სათავეში რომ მეგრული, ლაზური, აფხაზური, კახური ან ნებისმიერი ქართული სამეფო-სამთავროს წარმომადგენელი აღმოჩენილიყო, რომელსაც ერის წინაშე ისეთივე დამსახურებები ექნებოდა, როგორც მეფე ბაგრატ III-ს, სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენს ქვეყანას დაერქმოდა “ეგრისი”, “კახეთი”, “აფხაზეთი”, “ლაზეთი” და ა.შ.

ბუნებრივია, ეს არ გამოიწვევდა რაიმე ცვლილებას ჩვენს ქვეყანაში, არც ეთიკურს, არც ენობრივს და არც სარწმუნოებრივს, მით უმეტეს, ეს არავითარ უპირატესობას არ მისცემდა იმ კუთხის მკვიდრებს, რომლის წარმომადგენელიც შეიძლებოდა ქვეყნის მეფე ყოფილიყო და ქვეყანასაც ამ კუთხის სახელი რქმულიდა, რადგანაც ყველა ქართული კუთხის მკვიდრები ჭეშმარიტი ქართველები არიან.

ამდენად, ქართველ ხალხში ერთი ეთნოსია და ამ ეთნოსის სათავე, როგორც ბატონი რისმაგ გორდუხიანი ვარაუდობს, სწორედ კოლხეთშია (ეგრისში).

ყოველ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს “ქართლისა” და “ქართლების” გავლენით, თუ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის პატივსაცემად დაერქვა ჩვენს ქვეყანას “საქართველო” და მის მკვიდრებს “ქართველები”, არც იმას, მეგრელების შემკვიდრებები არიან იბერები თუ პირიქით, არამედ მთავარია, რომ ისინი ერთი არიან და ქართველ ხალხში ერთი ეთნოსის დომინანტია, რომლის სათავე, როგორც აკადემიკოს რისმაგ გორდუხიანს მიიჩნია, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოშია.

ერის წინაშე ქართველი მეცნიერების პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალ დონეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის 3,000-წლიანი ისტორიის საწყისად აღიარეს სწორედ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ეპოქა. ეს, აღბათ, ერთადერთი შემთხვევაა ქართულ სინამდვილეში, როდესაც ზოგადეროვნული მნიშვნელობა ენიჭება მოვლენას, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთიან კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში აღინიშნა.

მართალია, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახელებულია 20-ზე მეტი სხვადასხვა ტომი: ხალდეები, ხალიბები, მესხები, ჯავახები, დრიდები, კორაქსები, შკითინები, მკელიოხები, მანრალბები, მაკრონები, მისიმიანები, გუგარები და სხვები, მაგრამ ისინი ერთნი იყვნენ, ერთი ეთნოსის მატარებლები და ყველანი მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ, ხოლო ისტორიას სხვადასხვა სახელებით იმეორებდნენ, რომ ცხოვრობდნენ ეგრისის სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ.

სწორედ ამ ეპოქაში იყო ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთი ნაპირებიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მიუღეს სამხრეთ კავკასიას, სადაც ცხოვრობდნენ მეგრული ტერიტორიული ჯგუფები და გავრცელებული იყო მეგრული ენა.

ისტორიული მოვლენების შედეგად, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქის კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, რომელსაც უკვე მხოლოდ ეგრისის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, სამ სამეფოდ დაშლილი შეხვდა. მისი ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოჩნდნენ იბერიისა (ქართლის) და ალბანეთის სამეფოები (ძვ.წ. IV ს.) ხოლო ეგრისის სამეფო მოიცავდა მცირე აზიის დასავლეთ ნაწილს და დასავლეთ საქართველოს ლიხის ქედის ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები).

სავსებით ბუნებრივია, ამას ეთნიკური ცვლილებები არ მოჰყოლია, ვინაიდან იბერებიც და ალბანებიც ეგრების (მეგრელების) უშუალო შთამომავლები იყვნენ, ხოლო ამის შემდეგ ჩამოყალიბებულ იბერიულ (ქართულ) და ალბანურ ენებს სა-

ფუძველად დაედო მეგრული ენა.

სამწუხაროდ, ალბანეთის სამეფო ვერ შემორჩა ქართულ სინამდვილეს. V საუკუნეში სპარსებმა ალბანეთი მეფობა გააუქმეს, IX-X საუკუნეებში იგი თურქულ-ჯუგუბმა დაიპყრეს, მოახდინეს ალბანების სრული ასიმილირება და II ათასწლეულში არც ალბანეთის სახელმწიფო არსებობს და არც ალბანები სწანან.

სხვათა შორის, ახალი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებიდან, არც იბერიის და არც ეგრისის სამეფოში, ფაქტობრივად, არ იხსენებიან ის ტომები, რომლებიც დასახელებული იყვნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან იბერიის სამეფოში ძველი წელთაღრიცხვის ეპოქიდან შემორჩნენ მესხები და ჯავახები, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში წარმოჩნდნენ ტერიტორიული ჯგუფები – კახელები, ქიზიყელები, მთიულეები, მოხევეები, მაგრამ ამას არავითარი ეთნიკური ცვლილებები არ მოჰყოლია, ვინაიდან ისინი იბერები იყვნენ და ამ სახელით იწოდებოდნენ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ იბერიის სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ.

ფაქტობრივად, არც დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოში შემორჩნენ ძველი ტომები, მაგრამ I-II საუკუნეებიდან მის სინამდვილეში წარმოჩნდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები, აფხაზეთის, ლაზეთის, ჭანეთისა და მარგვეთის საერისთავოების სახით, მაგრამ არც ამ მოვლენას მოჰყოლია ეთნიკური, ენობრივი ან სარწმუნოებრივი ცვლილებები, ვინაიდან ისინი მეგრული ტერიტორიული ჯგუფები, მეგრელები იყვნენ. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ “აფხაზები”, ლაზიკაში – “ლაზეთი”, ჭანეთში – “ჭანები”, მარგვეთში “მარგველები”. მათი მშობლიური სასაუბრო ენა იყო მეგრული, უფრო სწორად კი, მეგრული ენის აფხაზურ-ლაზურ-ჭანურ-მარგველური დიალექტი.


როგორც ცნობილია, I-II საუკუნეებიდან ეგრისის სამეფოში გავრცელდა ქრისტიანული რელიგია და, ამ ეპოქიდან მოყოლებული, მეგრელები, მათ შორის აფხაზები, ლაზები, ჭანები და მარგველები, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები არიან.

სხვათა შორის, გაუგებარია, თუ რატომაა მიღებული, თითქოს ქართველები IV საუკუნიდან არიან ქრისტიანები, მასინ, როდესაც არსებობს რეალური საფუძველი, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების თარიღად აღიარებული იქნეს I საუკუნე.

სწორედ I საუკუნეში მოღვაწეობდნენ ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი ეგრისის სამეფოში და მათ გაავრცელეს ქრისტიანობა მეგრელებში, მით უმეტეს, თუ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ქართველები ამ ეპოქიდან უნდა ყოფილიყავით ქრისტიანები.

ყოველ შემთხვევაში, ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV ს.ს.) იბერებისა და მეგრელების გაერთიანებით დაიწყო ერთიანი ქართველი ერის აღდგენის პროცესი, რაც ამ ეპოქაში უადრესად წარმატებით წარმართა.





საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II: გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს

არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, გასულ ხუთშაბათს, საპატრიარქოში პულაგოგებთან შეხვედრაზე უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ჰაიდი ტალიაინი არ უხსენებია, სხვა არაფერი იყო თუ არა ტალიაინის დასკვნის შეფასება.

კითხვის ნიშნები თუ ასოციაციები, სხვა და სხვა გარემოებების მიმართ, სწორედ პატრიარქის სიტყვამ გააჩინა, რაზედაც აუცილებლად ქვემოთ ვისაუბრებ, აგრეთვე, იმაზე, თუ ვინ და რატომ გადაიზიანა პატრიარქის ნათქვამმა ჭეშმარიტება.

მანამდე კი, სიტყვასიტყვით ვთავაზობ მკითხველს პატრიარქის ნათქვამს, ჩემი „დახმარების“ გარეშე შეაფასოს იგი და რაც მთავარია იმიტომაც, რომ არც ერთმა ე. წ. ნაციონალურმა ტელევიზიამ არ გააშუქა ეს ამბავი:

„რაც მოხდა საქართველოში, – აფხაზეთში, ცხინვალში, მეტად დამორგუნეულია ჩვენი ხალხისთვის. ეს არ უნდა მომხდარიყო და ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ აგვეორდებინა თავი მაგ პრობლემებისთვის... გემი როცა მიდის ზღვაში, ხელმძღვანელმა, გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს. ჩვენ გვხვდება კედელი და თავით ვეხეთქებით ამ კედელს. იმ დროს, როცა შეიძლება ამ კედელს გვერდი აუარო, კარები იპოვნო და იქიდან გახვიდეს. ასე რომ, არ არსებობს არც კედელი და არც ჩიხი, გა-

მისამ უზენაესობამ ტალიაინის დასკვნა შეაფასა

მოსავალი მუდამ არის და ჩვენ მუდამ ამ უარყოფით მოვლენებს უკან მივდევთ; იმ დროს, როცა წინ უნდა ვიყოთ, უნდა პროგნოზირება გავაკეთოთ, რა შეიძლება მოხდეს და რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ მოხდეს ესა თუ ის მოვლენა“.

აღბოთ, შეუძლებელია ამაზე ამომწურავად და ამავე დროს ლაკონურად იმის შეფასება, თუ რა მოხდა შარშან ავვისტოში და რა ხდება დღესაც. ისიც აღვიღო მისახვედრია, რომ პატრიარქის ეს „ქადაგება“, რბილად რომ ვთქვათ, არ ესია-მოვლებოდათ სოროსის ძუძუნაწევ მანქურთებს. უფრო „მაგრად“ თუ ვიტყვით, პატრიარქის ნათქვამი შოკის მომგვრელი იქნებოდა სოროსის თავლაში დაბმული სახედრებისთვის. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც შეძლეს და პატრიარქის ხელით უმაღლესი საეკლესიო ჯილდო – წმიდა გიორგის ორდენი დაჰკიდეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორს, როლანდ ახალაიას.

აღბოთ, ეგონათ, რომ ამ აქტით საბოლოოდ და შეუქცევადად დასცეს პატრიარქის ავტორიტეტი. აქედან გამომდინარე, აღბოთ, ელოდნენ, რომ საქართველოს სულიერი მამა მათთან შეთანხმების, მათი ცენზურის გარეშე, ნაბიჯს აღარ გადადგამდა! მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ჟურნალისტებმა იქვე ოპერატიულად სცადეს ხელისუფალთა კომენტარების „აღება“. ბაჩო ახალაია – „არ ვიცი, არ მისმენიაო“... გიგი უგულავამაც იგივე წაიღულელა, თუმცა სიფთაზე „ეწერა“, რომ ტყუილია, მაგრამ რა ექნა? ეტყობა, მისი უწმინდესობის სტიქაროსნობის დროიდან, შუბლის ძარღვი თუ არა, მიკროკაპილარი მანინც აქვს შერჩენილი, რაც უარყოფითი კომენტარის საშუალებას არ აძლევდა.

აი, წუგეზარ ნიკლაურმა, – „პატრიარქის სიტყვის ბოლო ნაწილი უუსმინეო“ და ათას სისულელეს მიედ-მოვლი. საწყალს ინტერნეტზე არ მიუწვდება ხელი, რათა თავიდან ბოლომდე ეყურებინა, თუ მისმა ტელევიზიებმა ამის საშუალება არ მისცეს.

რაც შეეხება დავით დარჩიაშვილს, როგორც მოსალოდნელი იყო, ვრცელი, დემი-გოგიური კომენტარი გააკეთა, რითაც, სულ ცოტა, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი შეურაცხყო, რომელთაც თქვენი მონამორჩილიც მივეკუთვნები. აღარაფერს ვამბობ საქართველოს დედაეკლესიის ეკლესიური ცხოვრებით მცხოვრებ მრევლზე. თუ არა და თავად განსჯათ.

„შეფასებები შეუძლია ყველას თავისებური აკეთოს...“ – სიტყვასიტყვით ასე დაიწყო სოროსის ბაგაზე დაბმულმა წვერებიანმა ურწმუნომ. რა უნდა უპასუხო ამაზე ამ ვირთხას? ის, რომ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, როგორც მინიმუმ „ყველა“ არ არის? თუ ის, რომ მისი უწმინდესობის ბაგეთაგან ნათქვამი ერთი სიტყვა ათასი ტალიაინების დასკვნებზე მნიშვნელოვანია ყოველი ქართველისათვის და არა მხოლოდ ქართველისათვის?

ტალიაინზე გამახსენდა და ერთ-ერთი ხლისტოგანი დარჩიაშვილის კომენტარმა დამარწმუნა, რომ წვერლის სათაური შეიძლებოდა კითხვის ნიშნის გარეშე მიმეცა, რადგანაც თავად ყოველივე ანტიურთვერულს „მამიდაშ“, სოროსის ხელს შემეყურე დარჩიაშვილმა დაუკავშირა პატრიარქის სიტყვა ტალიაინის კომისიის დასკვნას.

პატრიარქის „თავისებური შეფასებები“ ბოლოს იმით განაქიქა ამ ჩიტირეკიამ, რომ მისი უწმინდესობა დაამუხატა: „იმას რომ ამბობს, რა არ უნდა გაგვეკეთებინა, იქვე უნდა თქვას, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა!“

რა უნდა უპასუხო ამ არაკაცს? ის, რომ „აბრე მთქმელს კარგი გამგონე უნდა?“ აი-ლოს დარჩიაშვილმა და არა მარტო მან, არამედ მიუღმა „სახლისტიმამ“ და ნახოს სოროსელების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომი ეპისტოლეები, სადაც სახელმწიფოს განვითარების ყველა მიმართულებით ფორმულების სახით არის თუ არა ჩამოყალიბებული, როდის და როგორ უნდა გაკეთდეს შინ თუ გარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დარჩიაშვილის მსგავს ხლისტებს, პატრიარქის „უაზრო“ ეპისტოლეების კითხვას, სოროსის ანტიურთვერული, ანტიმართლმადიდებლური დირექტივების უსიტყვოდ შესრულება ურჩევნიათ.

და ბოლოს, ზემოთ ნახსენები ასოციაციების, გენგებთ პარალელის უსახებ.

გახსოვთ, აღბოთ, ა. წ. პატრიარქის განცხადება, რომელიც მან 26 მაისს სამების ტაძარში გააკეთა, რამაც თავიდან საზოგადოების, უფრო მეტიც, მრევლის არც თუ უმნიშვნელო ნაწილი, უარყოფითი რეაქციები გამოიწვია, რაც ორი დღის მერე აბსოლუტურად საპირისპირო შინაარსის განცხადებით გაანეიტრალა მისმა უწმინდესობამ.

ყველაფერთან ერთად, ეს იმის გზავნილი იყო, რომ მისი უწმინდესობა, ყოველთვის ვერ მოქმედებს საკუთარი ნების კარნახით, ანუ, ოპოზიციისა თუ ხელისუფლების (ხანდახან ორივეს ერთად) აშ-

კარა თუ ფარული ზეწოლის, გენგებთ შანტაჟის გამო, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ხალხის ფიზიკური უსაფრთხოების გამო უხდება ხოლმე არა პოპულარული ნაბიჯების გადადგმა, რაც ამ ადამიანის სიბრძნეზე და არა სისუსტეზე მეტყველებს, რაც, შეიძლება, ერთი შეხვედრით ჩანდეს.

ასე იყო 26-28 მაისს და ასე მოხდა ზუგდიდში, როცა ცნობილი ოდიოზი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, წმიდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა და მისი უწმინდესობის სიტყვა, რომელიც წინამდებარე წერილის მიზეზი გახდა, ყველაფერთან ერთად, იმ „დაჯილდოვებით“ გამოწვეული გაუგებრობის, არაჯანსაღი მითქმა-მოთქმის ალაგების წარმატებული მცდელობაც იყო.

საქართველოს ხომალდს კაპიტანი არ უფარგაო! ამაზე მეტი რაღა უნდა თქვას და გააკეთოს მისმა უწმინდესობამ? ის ხომ პოლიტიკური პარტის დიდგრი კი არა, საქართველოს მწყემსმთავარია – სულიერი მამა ყველა ქართველისა, მათ შორის, უდმერთო დარჩიაშვილების, ლადარების, თევზაძეებისა და სხვა ხლისტებისა, ახალი ფორმაციის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ გენური ინჟინრების მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშისა, უფრო სწორედ, უჯიშო ქართველებისა!!!

მისი უწმინდესობის და შანტაჟება, მასზე მუდმივი ზეწოლა, პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, სიმართლესთან ძალიან ახლოს არის პრესასა თუ პრივატულ საუბრებში ცნობილი ქართველი მწერლის მიერ არაერთხის გაცხადებული აზრი, რომ საქართველო პატრიარქი იხოლაციაში ჰყავთ, ან ცდილობენ, რომ ჰყავდეთ!..

ისიც ხომ ადამიანია და მისგან ყველა შეგლას რომ მოითხოვს, იქნებ, მასაც უჭირს და თავადაც სჭირდება შეგლა ან ელემენტარული თანაგრძნობა მანინც, რათა ნაჩქარევი დასკვნები და გამოცენათ ხოლმე მისი ამა თუ იმ, ერთი შეხედვით გაუგებარი, აუხსნელი ქმედებებიდან.

ეს რომ ასეა და არა სხვაგვარად, ამის დასტური მისი ეს უკანასკნელი სიტყვაც არის, რომელმაც ჩვენს გულგულში ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და პირიქით, ყველაფერი თავდაყირა დააყენა სოროსის გრანტებით გამამძღარ, ქრისტეს ფეხისმკვებელთათვის!

დავით მხეიძე

ამბავი ერთი კარგობრავისა, რამდენიმე მეფისა, ერთის ნაგებული ომისა

და იყო მეხუთესა წელსა მეფობისასა მიქაელისა და მეორესა წელსა ბარაკისა და კარად სამეფოდ მიიწია გრიგოლ ვაშას ძე კაცი ფრიად გამშვენებული ულგაშითა და თმავარცხნილობითა, რომელ არს კარე. და ოდენ მთელი კარი სამეფოთა წარგ ზაენილ იქნა ამერიგოს ქუეყანასა შინა, იხელთნა დროი ურჯულთა და მოსცნა გრავინილი ყრმათა თვისთა, რომელსა ზედა გამოსახულ იყო ურჯულთა სამეფო, ვითომდა წილხედობილ ჩვენი მიწისა, არმენთა, კვიპრთა, კიდევ მრავალთა და მრავალთა ქუეყანისა და აიძულებდა ყრმათა, რამეთუ ამითი ესწავათ...

არადა, გეოგრაფიის სწავლას ისტორია ისწავლონ და ასწავლონ თავიანთ ბავშვებს, ჯობია!

სანამ დეტალებზე გადავიდოდე, გეტყვით, რამ გამოიწვია ჩემი გაბრაზება და რამ დამაწუხინა ეს წერილი: გასულ კვირას თურქეთის ერთ-ერთ სკოლაში შეიტანეს გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელზეც თურქეთის რუკა ერთობ უცნაური საზღვრებით იყო გამოსახული, კერძოდ – ამ რუკის თანახმად, თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა სომხეთი, კვიპროსი, საქართველოს ნაწილი (აჭარა), ნახჭევანი, ბუღლარეთის ნაწილი და ერაყის ორი პროვინცია.

ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ საქართველოს ნაწილის მიერთება დანარჩენ ევრაზიასთან თურქებმა, რა თქმა უნდა, შეცდო-

მად მონათლეს და გამოძიებას დაეწყო, ისიც თქვეს.

მაგრამ ფაქტია, რომ რუკა არსებობს და ეს რუკა არც კინძე უცნობი ბავშვის დახატულია და არც სტამბის სადგებავის გასხმისგან გამოწვეული ქარხნული წუნი. ხოლო იმას, თუ საიდან გაჩნდა ეს რუკა სასკოლო სახელმძღვანელოში, აღბოთ, უახლოეს მომავალში დაადგენენ; პრინციპში, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აღარც აქვს, მთავარი, როგორც ვითხარით, რუკის არსებობაა. ააა!

იხელთეს დრო, როგორც საერთოდ სწევით, ძალდაპირი ოტომანების შთამომავლებმა და მიერთეს ნახევარი ვერობა!

ზემოთ ვამბობდი, გეოგრაფიის შეცვლას ისტორია ისწავლონ-მოქოქი, ჯობია!

ისწავლონ და ნახავენ, როგორ მთავრდება ყველა მათი მცდელობა, საქართველოს ნაწილების მიერთებისა.

ჯერ იყო და, სანამ ოტომანები მოვიდოდნენ, მაგათი წინაპრები, ურჯუკი თურქულჯუკები უტყუდნენ და იპყრობდნენ საქართველოს, მერე მოვიდა დავითი და მაგათი მეწინავე სეფუდრომა ტარიანად გაუკეთა მაგათ მთავარსარდალს, ილ-დაზს და ასე, ფარშევანგივით გაუშვა უკან!

მერე წამოვიდნენ ოსმალები, აიღეს კონსტანტინოპოლი, სტამბოლად გადააკეთეს, მერე სასტიკად დაამარცხეს ჯვაროსნები, უკან მისდეს მთელი ვერობის გასწვრივ და

ავტორიამდე მივიდნენ. ასე შეიქმნა ოტომანების ძღვევამოსილი იმპერია, რომლის საზღვარიც დასავლეთით დუნაიზე, აღმოსავლეთით კი რატომღაც ჩოლოქთან გადიოდა, გარკვეულ მომენტამდე მაინც!

აი, სწორედ ამ გარკვეულ მომენტზე, მინდოდა, შეთქვა: ისტორიის სწავლა ჩვენც არ გვაწყენდა.

თუ დაგვაკირდებით, თურქები მხოლოდ მაშინ აქტიურდებოდნენ, როცა საქართველოს სათავეში სუსტი და გაუწონასწორებელი მთავარსარდალი და ხელმძღვანელი იდგა!

ასე იყო დიდი თურქობისასაც, როცა სელჯუკები საქართველოს დაატყუდნენ თავს, ხვენი მეფე მაშინ გიორგი მეორე იყო, კაცი, რომელსაც ყველაზე მეტად გართობა და დროსტარება უყვარდა, და რომელიც თავისი ნებით, ყოველდღიურ მიტინგებისა და მანიფესტაციების გარეშე, გადადგა და ტახტი დავით მეოთხე აღმაშენებელს დაუთმო.

ასე იყო ოტომანების ზეობის დროსაც – თემურ-ლენგის მიერ ათასგზის გვემული და აოხრებული ერთიანი საქართველო რომ დაიშალა, სწორედ მაშინ იხელთეს დრო მუხანათმა ოსმალებმა და თითქმის მთელი სამხრეთ საქართველო მიერთეს, და ასე იყო რუსეთ-თურქეთის ომამდე.

ასე იყო ბოლოს, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც – ხვენი „ლიდერი“ ნოე ჟორდანი იყო, ხოლო თურქებისა – მუსტაფა ქემალ ათათურქი და, დროზე რომ არ შემო-

სულიყო ბოლშევიკური მეთერთმეტე არმია „სამშობლოს მოღალატე“ მონათლული ორჯონიკიძის მეთაურობით, ამჯერად ჩვენი აღმოვინდებოდით ფარშევანგის პოზიციაში.

და ასეა ახლაც – შეხედეს თურქებმა, რომ საქართველოს სათავეში დგას კაცი, რომელმაც უკვე წააგო ომი, და შექმნეს რუკა, რომელზეც აჭარა თავის საკუთრებად გამოაცხადეს!

თანაც დაინახეს, რომ ომი სწორედ იმ ქვეყანასთან წავაგეთ, რომელმაც თავის დროზე აჭარა მაგათ აახია და ჩვენ დაგვიბრუნა!

მიხედნენ, რომ დამხმარეც აღარ გვეყოლება ჩვენი უთაობის გამო და ამოქმედდნენ! ამას წინათ საქართველო ოთარ ჭვალაძეს დაემშვიდობა...

მეც მას დავესხები მისი რომანის სათაურს („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“) და გეტყვით, რომ ჩვენც, მართლაც, მართლად თურქი მიდიოდა, მაგრამ ყველა მათგანმა სწორედ საქართველოსთან ბრძოლაში წაიმტვრია რქები და ცხვირი.

იმედი მაქვს, ასე იქნება ახლაც! მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირე აღ წუთისთვის აღარ გვყავს, ყველაფერი დროის საკითხია და იმ დროისთვის, როცა თურქეთი გაბუდავს (თუ გაბუდავს) და აჭარის მიერთებას შეეცდება, ჩვენი მოკავშირე, აღბოთ, ისევ ჩვენი მოკავშირე იქნება!

იმედი ცოცხლობს ადამიანი! გეგა ბატიანი

ილორი

აფხაზეთში სამარტოვო დარჩენილები

1993 წლის ზაფხულია, აფხაზეთში მძაბულად მიმდინარეობდა ომი მძინვარეებს. ერთ დროს უღამაზეს ადგილი რამდენიმე თვეში გადაბუკულ ხრიკად იქცა. არავინ არაფერი იცის ამ ომის თაობაზე – ვინ დაიწყო, როდის დაიწყო, რატომ დაიწყო, ან როდის დამთავრდება...

არა და, მართლაც ნამდვილი ომი, ავტომატების, ზარბაზნების, პაუზების, "გრაფების" გამოყენებით. გუშინდელი მძინვარეები ერთმანეთს აღარ ინდობენ, ერთმანეთის სისხლს სვამენ, სატანას აღზევნის ჟამი დვას, ცელმოდერებული სიკვდილი ამაყად დააბოჯებს აფხაზეთის ოდიტან კურთხეულ მიწაზე და მსხვერდლს იოლად პოულობს. შავ ზღვას სისხლის მდინარეები უერთდება, ვერა და ვერ გაიძლო სტომაქი მსახერადმა ბუდისწერამ. ამათ ვერასდროს ვერაინ წარმოიდგენდა, რომ ამ წაღკოტში ასეთი სისხლიანი კაღო დატრიალდებოდა...

ყველა ომი პოლიტიკური ჩიხია, თუმცა, ზოგა ხინიდან გამოსავლის მოძებნა მინც შეიძლება. მაგრამ, აფხაზეთის ომი იმ უხეშსხვერპლიან ლაბირინთად იქცა, რომელსაც ყველა გამოსავალი დაგმანული ჰქონდა. მაშინ არავინ ვიცოდით, რომ აფხაზეთის ტრაგედია საუკუნედავით იყო დაგეგმილი და შეფუთული, არ ვიცოდით, რომ ედუარდ შევარდნაძეს და მის დანაშაულებრივ გარემოცვას, რომელთაც ქვეყნიდან გააძევეს ქართველი ხალხის მიერ კონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და სისხლში ჩაახშვეს ქართული ეროვნული მოძრაობა, საქართველოს მმართველის სავარძლის სანაცვლოდ, უკვე დიდი ხნის განუქმბული ჰქონდა აფხაზეთი და სამანაბლოც. თურმე, ყველაფერი დროის ამბოვი იყო და ჩვენი მოაზრობის წვერების რიხიანი შეპირებები აფხაზეთის ეპოპის ჩვენი გამარჯვებით დაგვირგვინებაზე მხოლოდ ვერაგული სატყუარა გახლდათ, რომელსაც, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი უნდა შესწროდა, რაც შევარდნაძეს მომავალში ეროვნული მოძრაობის დისკრედიტირებისათვის სჭირდებოდა...

მაშინ საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამოცემო საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი და სხვებთან ერთად მეც იმის გულბურჯვილო იმედი მქონდა, რომ ტკბილი სიტყვითა და ტრადიციული ურთიერთობების აღდგენით შესაძლებელი იქნებოდა აფხაზეთის ჩვენსკენ შემობრუნება. ამიტომ, ჩემი საკურატორო სამსახურის ხელმძღვანელებს დაეუბახე და ვუთხარი: ვისაც სურვილი გაქვთ, აფხაზეთში წავიდეთ, მალე სექტემბერი დადგება, სასწავლო წელი იწყება და ქართველ და აფხაზ ბავშვებს სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები ჩაუტანოთ-მეთქი. წიგნი იარაღი და ტყვია-წამალი ხომ არ არის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩვენს ამ აქციას ერთხანად მოიწონებდა მტერიც და მოყვარეც.

წამოსვლის სურვილი განაცხადეს "საქწიგნის" მმართველის მოადგილეებმა ვალიკო გოგიშვილმა და ივანე კუშჩუკმა (ძირძველმა ქართველმა ბელორუსიელი გვართი), მისმა სიძემ ვაჟა ბახტურაძემ, ავტობუსის მძღოლმა ჯემალმა (სამწუხაროდ მისი გვარი აღარ მახსოვს) და ჩემი პერსონალური მანქანის მძღოლმა თამაზ ციმაკურიძემ. დაგვირგით ორგანიზაციის კუთვნილი საკმაოდ მოძველებული ავტობუსი "ყუბანი" სასკოლო სახელმძღვანელოებით, რვეულებით, სხვა კლასგარეშე საკითხავი წიგნებით და აფხაზეთის გზას დავადექით.

წიგნებითა და რვეულებით მიმედ დატვირთული ავტობუსი ნელა მიდიდა და დამემ სამტრედიასში მოგვისწრო. ჩემს მეგობარ ჯემალ ფოფხაძის სახლში დავრჩით. სატყველიც ჰქონდა და სასმელიც, მაგრამ ოჯახმა გახშამი გავიწყო და მეზობლებიც მოიწვია ჩვენს საპარტიკულად. ერთერთმა მათგანმა, სახლიდან ხალათში გახვეული ახალთახალი ავტომობილი გამოგვიტანა:

– ამა წინათ ვიდაც სამხედროები მეტყუარენ, შშივრები იყვნენ და სადილი გავუწვევ. დამშვიდობებისას მითხრეს, ფული არ გვაქვს, პარტიის ცემის სანაცვლოდ რომ გადაგიხადოთ და ამ ავტომობილს დაგიტოვებთ საჩუქრად. უკენი რომ სამშობლოს დასაცავად განწყობილი ხალხი ყოფილიყვნენ, ავტომობილს გაანაწუქებდნენ? ჩემი უარით არ

განაწყენდნენ-მეთქიმ გავიფიქრე და გამოვართვი. თოხი ან წერაქი რომ ეწუქებინათ, უფრო გამომადლებოდა. ახლა ეს იარაღი ტყვილად მიდევს სახლში, თქვენ კი სახიფათო გზას ადგახართ, იქნებ რამიმე გამოგადგეთ! – გვითხრა მან და ავტომობილი თავისი მჭიდვებითა და ვაზნებით გვისახსოვდა.

დილით გზა გავაგრძელეთ და ენგურის ხიდზე რომ გადავვით, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ სადღაც, გადაკარგულ უკაცრიელ უდაბნოში მივიდოდით – ადამიანი არსად ჭაჭანებდა ერთ დროს ხალხმრავალ გზასა და სოფლებში. ყველა ომის აუბედითი შედეგის მოლოდინში იყო.

დრანდას რომ მივუახლოვდით, გზაჯვარედინზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სამი ავტომობილი ზურგნაჩიანი ახალგაზრდა კაცი შევნიშნეთ. ტრანსპორტს ელოდებოდნენ. ხელით გვანიშნეს – თან ხომ არ გავიყოფებით. ადგილი გვექონდა და გაუჩერეთ. ამოვიდნენ, მოგვესალმენ, მათ შორის შედარებით უფროსი ჩემს გვერდით დაჯდა, ორნი უკანა სკამებზე მოკალათდნენ. ერთმანეთი გავიცანით:

– მე თბილისელი ალბერტა ვარ, ვართანინი, ავლაბარში ვცხოვრობ. – მითხრა ჩემს გვერდით მჯდომმა, – ეს ვეძიებდი თათარი ბახო მამულეოვია, ეს კი, ბორჯომის რაიონში რომ ახალდაბაა, იქიდან არის, მურმან გორშოკი.

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. – რომელ ნაწილში მსახურობთ? – ვკითხე ალბერტას.

– მხედრონილები ვართ! ასაკის გამო სამხედრო ნაწილში მე არავინ ჩამრიცხავდა, მოხალისედ კი მხოლოდ მხედრონიმა წამომიყვანა მეც და ჩემი მეგობრებიც.

ეს იმ დრო იყო, როცა ყარაბაღშიც ომი მძინვარებდა და თათრები და სომხები დანახისხლად იყვნენ ერთმანეთთან. ცოტა გამიკვირდა კიდევ მათი ეს ურთიერთობა.

– ეგ როგორ არის...

– ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, – მიმიხვდა ალბერტა შეკითხვის არსს, ამიტომ, თუ თავს ეთნიკურად ქართველებად არ ჩაუვილით, იმის მოვალენი მაინცა ვართ, რომ ქართველებს თვალთ ვუყუროთ ცხოვრებას. ჩვენ – თათრები და სომხები საქართველოში რომ ერთმანეთ დავევროთ, ეს იმ ქართველი ადამიანის შეურაცხყოფა იქნება, რომელსაც ჩვენთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია. ამიტომაც ვცხოვრობთ ჩვენ საქართველოს კაცური კანონებით. მაგ ბახოს რომ უყურებ, სულ ოცდაორი წლიანია, მაგრამ მოხუცი კაცის გონება აქვს, არაფერი ეშლება. შეილივითა გვეყავს მე და მურმანას, ბრძოლის დროს ზედ ვეფარებით ხოლმე, მაგრამ მაინც ახალგაზრდულად სულსწრაფი და უშიშარია, მუდამ წინ გარბის, ტყვის არ ეშინია და სწორედ ეგ არის საფრთხილი. მაგას რომ რამე მოუვიდეს, ალბათ მეც და მურმანაც თავს მოვიკლავთ. ჩვენ მუსიკოსები ვართ. მე კლარნეტზე ვუკრავ, ბახო – ზურნაზე, მურმანა კი მელიქა და თანაც, რომ იცოდეთ, როგორა მღერის. ბულბულია, რაღა. კვირა არ გავა, რომ სადმე წვეულებაზე არ მიგვიპატიუნ. ზოგჯერ, ქეფი რომ დამთავრდება, სოფლიდან არ გვიშეუბენ და რამდენიმე დღე გვეტოვებენ ხოლმე – ხან ერთ ოჯახში გაწლიან ჩვენს საპარტიკულ სუფრას, ხან მეორეში. ჩვენც ვუკრავთ და ხალხს სიამოვნებას ვანიჭებთ. მურმანა ციხიდან რომ გამოვიდა ხუთი წლის წინათ, მაშინ შეხვდით, დაგამკაცდით და მას შემდეგ ერთად ვართ.

– ციხეში რატომ იჯდა?
– ვიდაც ახვარი დაჭრა.
– რატომ?
– შეაგინა მურმანას!
– ასეთი რა შეაგინა, რომ კაცი დანი დასატრეულად გაიმეტა?
– ასე უთქვია, შენ ქართველი არა ხარ, საიდანაც ჩამოეთერი, იქ წაეთრიე!
– მერე ეგ ვინებაა?
– ვინებაზე უარესია. მურმანას წინაპარი სამასი წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში და უკვე მაშინ გახდა ქართველი. მურმანამა ძალიან კარგად იცის, ვინც იყო მისი წინაპარი. აი, ბევრმა ქართველმა და სომეხმა ნამდვილად არ იცის, ვინ იყო მისი წინაპარი...

– ჩვენცა გვეყავს ეგრეთ ბელორუსი, – რულმორეულ კუშჩუკზე მივანიშნე, ორივეს გაგვეცინა.

– ეხლა სად მიდიხართ? – ვკითხე ალბერტას.

– სოხუმში, ბაბუშერას აეროპორტში. მეტაურებმა ხუთდღიანი შეგულებით შინ გავგიშვეს. თბილისში ჩავალთ, დავიბანთ, თმებს შევიჭრით, ცოტას დავისვენებთ და დავბრუნდებით. წინ ძალიან მიმიე ბრძოლები გველის და მერე დასასვენებლად არავის ეცლება...

– თბილისში რომ ჩამოვალ, ბატონო როლანდ, დავირეკავ და ჩემთან, ავლაბარში ერთი კარგი პური გვაძამთ. ისეთ მუსიკებს დაუკრავთ, რომ მკვდარი გაცოცხლდეს! აბა, კარგად იყავით! – მითხრა ალბერტამ და ჩავივინე. ავტობუსი რომ დაიძრა, ხელი დავვიქნიეს, საგველე ჩანთები ზურგზე მოიგდეს და ბაბუშერის აეროპორტისაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ.

ის დღე სოხუმში გავატარეთ, ჯერ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოული შარტავამ მივიღო და მადლობა გამოგიცხადა გულისხმიერებისათვის. წიგნები და რვეულები მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველს, შესანიშნავ ქართველ ვაჟაკს ჯუმბერ ბეთაშვილს ჩავაბარეთ, რომელმაც, მიუხედავად საომარი მდგომარეობის, ტრადიციულ ქართულ სტუმართმოყვარეობას არ უღალატა, ღამის ძალით სასაღილაოში ჩავგვიდვა და ლობიოს სუბითი გაგვიმასპინძლა. არაქი თბილისიდან გვექონდა წადლებული, ერთმანეთს გამარჯვება გამოვხატეთ. არაქი თბილისიდან გვექონდა წადლებული, ერთმანეთს გამარჯვება გამოვხატეთ. არაქი თბილისიდან გვექონდა წადლებული, ერთმანეთს გამარჯვება გამოვხატეთ.

– თბილისში რომ ჩამოვალ, ბატონო როლანდ, დავირეკავ და ჩემთან, ავლაბარში ერთი კარგი პური გვაძამთ. ისეთ მუსიკებს დაუკრავთ, რომ მკვდარი გაცოცხლდეს! აბა, კარგად იყავით! – მითხრა ალბერტამ და ჩავივინე. ავტობუსი რომ დაიძრა, ხელი დავვიქნიეს, საგველე ჩანთები ზურგზე მოიგდეს და ბაბუშერის აეროპორტისაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ.

ის დღე სოხუმში გავატარეთ, ჯერ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოული შარტავამ მივიღო და მადლობა გამოგიცხადა გულისხმიერებისათვის. წიგნები და რვეულები მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველს, შესანიშნავ ქართველ ვაჟაკს ჯუმბერ ბეთაშვილს ჩავაბარეთ, რომელმაც, მიუხედავად საომარი მდგომარეობის, ტრადიციულ ქართულ სტუმართმოყვარეობას არ უღალატა, ღამის ძალით სასაღილაოში ჩავგვიდვა და ლობიოს სუბითი გაგვიმასპინძლა. არაქი თბილისიდან გვექონდა წადლებული, ერთმანეთს გამარჯვება გამოვხატეთ. არაქი თბილისიდან გვექონდა წადლებული, ერთმანეთს გამარჯვება გამოვხატეთ.

– თბილისში რომ ჩამოვალ, ბატონო როლანდ, დავირეკავ და ჩემთან, ავლაბარში ერთი კარგი პური გვაძამთ. ისეთ მუსიკებს დაუკრავთ, რომ მკვდარი გაცოცხლდეს! აბა, კარგად იყავით! – მითხრა ალბერტამ და ჩავივინე. ავტობუსი რომ დაიძრა, ხელი დავვიქნიეს, საგველე ჩანთები ზურგზე მოიგდეს და ბაბუშერის აეროპორტისაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ.

ის დღე სოხუმში გავატარეთ, ჯერ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოული შარტავამ მივიღო და მადლობა გამოგიცხადა გულისხმიერებისათვის. წიგნები და რვეულები მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველს, შესანიშნავ ქართველ ვაჟაკს ჯუმბერ ბეთაშვილს ჩავაბარეთ, რომელმაც, მიუხედავად საომარი მდგომარეობის, ტრადიციულ ქართულ სტუმართმოყვარეობას არ უღალატა, ღამის ძალით სასაღილაოში ჩავგვიდვა და ლობიოს სუბითი გაგვიმასპინძლა. არაქი თბილისიდან გვექონდა წადლებული, ერთმანეთს გამარჯვება გამოვხატეთ. არაქი თბილისიდან გვექონდა წადლებული, ერთმანეთს გამარჯვება გამოვხატეთ.

დეპარტამენტის თანამშრომლები ვალმისხილები დაგვრუნდით სახლებში. ახლაც სათუთად ვინახავ დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილ ბრძანებას, რომელიც აფხაზეთის არც თუ უხიფათო ექსპედიციის მონაწილეებს მადლობა გამოგიცხადა.

მაშინ კი ყველანი ვფიქრობდით აფხაზეთის ომზე, ყველას გვინდოდა გამარჯვება, თუმცა, არ ვიცოდით, ვინ უნდა დავემარცხებინა გამარჯვების მოსაპოვებლად. ხოლო, ის, ვინც ამ ომისათვის დასამარცხებელიც იყო და გასასამართლებელიც, დღესაც მშვიდად "განისვენებს" კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის "ოქროს გალიაში".

1993 წლის ოც სექტემბერს, წვიმიან საღამოს, 9 საათზე სახლში ტელეფონმა დამირეკა.

– გამარჯობათ, ბატონო როლანდ! ალბერტა ვარ, ბახო და მურმანაც აქ არიან, მოკითხვას გითვლიან. ერთი დღით ჩამოვდით და გულმა არ მომითმინა, რომ არ დამერეკა. ნახევარ საათში სოხუმში მივფრინავთ!

– ალბერტ, ბიჭო, არა გრცხვენია, ხომ დამპირდი, თბილისში რომ ჩამოვალთ დავირეკავთ. ახლაცა წამოვალ აეროპორტში!

ეს ის მძიმე ჟამი იყო, როცა ქალაქის ქუჩებში ბანდიტები დათარეშობდნენ და საღამოს ექვსი საათის შემდეგ სახლიდან

გასვლა საშიში იყო, მაგრამ, იმდენად გამახარა ბიჭები გამოჩენამ, რომ საფრთხე აღარაფრად მიმანდა.

– არ შეწუხდეთ, ვეღარ მოგვისწრებ, როლანდ-ჯან! ეს წუთია "პასადკა" გამოაცხადეს და უკვე თვითმფრინავში ვსხდებით. ერთ თვეში ისევ ჩამოვალთ და, დედას გეფიცები, აუცილებლად დავირეკავთ და შეხვდებით. ბიჭებიც მაგას მეუბნებიან, თავი არ შევიტყვიანოთ, ჩემი პირობა არ დამვიწყნია, ერთი კარგად შეგუბერთ ავლაბარში დედუქზე...

– კარგად იყავით ბიჭები! გული მწყდება, რომ ვერ შეხვდით. დემრთი იყოს თქვენი შემწე, თავს გაუფრთხილდით, ხომ ხედავთ, ამ ომს ბოლო აღარ უნანს...

– თურმე აფხაზეტიც მაგას ამბობენ, ხალხს ყელში ამოუვიდა ეს ყველაფერი. მალე ალბათ ყველანი დავიღვებით უაზრო ომისაგან და მთელი ეს დავიღვარებაც მორჩება, – სიცილით მითხრა ალბერტამ.

თურმე რა გულბურჯვილოები ყოფილართ...

ეს იყო და ეს, წესიერად ვერ კი დავემშვიდობე ახლადდამეგობრებულებს. იმით ვინუგუშვები თავს, რომ მალე ჩამოვლენ-მეთქი, მაგრამ განგება თურმე სხვანაირად სჯიდა...

ედუარდ შევარდნაძის და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მოღალატეობრივი ქმედების შედეგად ზუსტად ერთ კვირაში სოხუმი დავეცა, აფხაზეთიდან დევნილი ქართველები აცრემლებულნი სტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს და მადალმთიანი სვანეთისაკენ "სიკვილის უღელტეხილის" გზას მიუყვებოდნენ ჯანდაცვილები და იმეღგადაწურულნი. კოული შარტავა და ჯუმბერ ბეთაშვილი სხვა ქართველ მამულისებთან ერთად ჩრდილოკავკასიელმა არაკაცებმა დაატყვევეს და დახვრიტეს. თვით აფხაზეტიც კი ეხვეწებოდნენ თურმე: ამათ არაფერი დაუშავთ, ეხენი კარგი ადამიანები არიანო, მაგრამ სისხლს მოწყურბულ გამხეცებულზე აბა რა თხოვნა გაჭრიდა. ქართველ მეომართ და მშვიდობიან მოსახლეთა გვამებით მოიფინა მაშინ აფხაზეთის მიწა, ბევრს საფლავიც არ ეღირსა და ყვაყვორანთა საჯიჯგნად იქცა. უპატრონოდ მიგდებულ სოფლებში ძაღლები და მგლები დათარეშობდნენ, მოუწველავი ნახირის საცოდავი ბღაველი იკლებდა იქაურობას...

ალბერტა, ბახო და მურმანი მას შემდეგ აღარ შემომხმობიანებია...

როგორ გგონიათ, ისინი რომ ცოცხლები გადარჩენილიყვნენ, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ არ შემომხმობიანებოდნენ?

სამწუხაროდ, ისიც არ ვიცი, როგორ დაიღუპნენ და თუ დაიდუპნენ, სად არიან დაკრძალულები. ვიცი მხოლოდ ის, რომ ბიჭები სამუდამოდ დარჩნენ აფხაზეთში!

სულ ნახევარი საათი ვიყავით ერთად გაქმნილი ადამიანები, მაგრამ ისეთი გულისტკივილი დამიტოვეს, რომელიც ალბათ სიცოცხლის დასასრულამდე არ გამოვლდებოდა...

მაგრამ, იქნებ...

სასწავლებელიც ხომ ხდება ხოლმე, მით უმეტეს, ომში!

ხომ შეიძლება, რომ ცოცხლები გადარჩიონ, ბიჭები?

მაშინ, იქნებ შემომხმობიანოთ, ძმებო! ძალიან მენატრებით...

როლანდ ჯვალანია





სამეგრელოს ღირსეული შვილები სამეგრელოს ღირსეული შვილები

ქიმიის მეცნიერების კორიფე პროფესორ აკაკი გახოკიძის გახსენება

პოეტური ნიჭის აფეთქება

პროფესორ აკაკი გახოკიძის ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა რიგი წლების განმავლობაში ქიმიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა. პროფესორმა აკაკი გახოკიძემ მეცნიერული მოღვაწეობის მთავარ სფეროდ შაქრების ქიმია შეარჩია. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს, ჩვენი საყვარელი კაცი მეცნიერულ ურთიერთობასა და პირად დამოკიდებულებაშიც შაქარივით ტკბილი კაცი იყო. აღნიშნავს აკადემიკოსი ქრისტეფორე არეშიძე.

ჩვენს მიზანს შეადგენს მოკლედ წარმოვაჩინოთ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერ-ქიმიკოსი, მართლაც რომ შაქარივით ტკბილი კაცი, პროფესორი აკაკი გახოკიძე, მარტვილის მიწა-წყლის შვილი, რომელმაც თავისი ორიგინალური აღმოჩენებით გაამდიდრა ქიმიის მეცნიერება. მისი საყვარელი დარგი იყო ნახშირწყლების ქიმია. მიუხედავად ამისა, პარალელურად მან ნავთობის ქიმიაშიც დაიწყო მუშაობა.

პროფ. აკაკი გახოკიძეს, როგორც ამას აღნიშნავს აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე, ეკუთვნის სინთეზის ორიგინალური მეთოდი, რომელიც მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში „გახოკიძის სინთეზის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ქართველ ქიმიკოსთა საყოველთაო აღიარებით, პროფესორ აკაკი გახოკიძის გამოკვლევებმა, დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზღვარგარეთის ქვეყნებში.

1961 წელს, აღნიშნავს აკად. სერგი დურმიშიძე, ქ. ვენაში ჩატარდა საერთაშორისო კონგრესი ბუნებრივ ნაერთთა ქიმიაში. საქართველოდან მიწვეული ვიყავით ბატონი აკაკი, აკადემიკოსი პეტრე ქოშეთიანი და მე. ბატონი აკაკი ავადმყოფობის გამო კონგრესს ვერ დაესწრო. კონგრესის გახსნამდე ჩვენთან მოვიდა გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი კარლ ფრეილენბერგი და იკითხა, სად არის საბჭოთა დელეგაციაო. ჩვენ თავი წარუვადგინეთ. მე პროფესორ გახოკიძეს ვუკვირებო. მან პირველმა მსოფლიოში განახორციელა ახალი ტიპის დისაქარიდების სინთეზი, რაც მე და ჩემმა მასწავლებელმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ემილ ფიშერმა ვერ შევძელით. აი, ამ აღმოჩენამ, მოუპოვა პოპულარობა ბატონ აკაკის მსოფლიო მასშტაბით. ახალი ტიპის დისაქარიდების სინთეზის განხორციელებით, პროფ. აკაკი გახოკიძემ, წინ წასწია ქიმიის მეცნიერება.

მეცნიერების ისტორიაში, აღნიშნავს პარიზის მეცნიერების ისტორიის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ვახტანგ პარკაძე.

ჩვენ გვყავს ისეთი პიროვნებები, რომელთა ყოლას ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი ისტორიის მქონე ერები ინატრებდნენ. ასეთი პიროვნება აკაკი გახოკიძე. მის შრომებს ობი არასოდეს მოეკიდება.

უდავოდ დიდია გეოგრაფიული არეალი დიდი მეცნიერის – პროფესორის აკაკი გახოკიძის მეცნიერული ნაშრომებისა. აი, ის ქვეყნები, სადაც ისევ და ისევ კვლავ გრძელდება მისი შრომების ციტირება. ამერიკა, ინგლისი, გერმანია, ჩეხეთი, რუსეთი, ინდოეთი და ა. შ. რომელი ქვეყნის მეცნიერთა ნაშრომებში არ ნახავთ ამ ქართულ გვარს, ბრძანებს აკად. ვახტანგ პარკაძე.

კვლავ აკად. ვახტანგ პარკაძეს თუკი დავესესხებით, პროფ. აკაკი გახოკიძე საოცრად გონებაშეხვეტილი, დიდი ნიჭითა და ფანტაზიით დაჯილდოებული მეცნიერი იყო. ამასთან დაკავშირებით, აკად. ვახტანგ პარკაძე იხსენებს ერთ-ერთ ფაქტს. ბატონმა აკაკი გახოკიძემ საინტერესო კვლევა ჩაატარა საქართველოს მეცნიერული საფარის შესწავლის მიზნით. მან მეცნიერულ გლეხობისგან, რომელიც მაშინ კამოს ქუჩაზე მდებარე ქიმიის ინსტიტუტის ეზოში იხრდებოდა (სადაც მაშინ ბატონი აკაკი მუშაობდა),

გამოყო ორი პიგმენტი და მათ აკრამერინი და ოლმელინი უწოდა. მეცნიერმა შეისწავლა ეს პიგმენტები, დაადგინა მათი სტრუქტურა, სინთეზურადც მიიღო და კვლევის შედეგები სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოაქვეყნა.

ამ შრომებიდან ოცი წლის შემდეგ, ინდოეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, შაპარდიმ აკრამერინი და ოლმელინი სხვა მეცნიერებიდანაც გამოყო და წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის ელჩს ინდოეთში: გთხოვთ, დაუკავშირდეთ დოქტორ გახოკიძეს და გაიკითხოთ, რა ლათინური საფუძველი დაეუფო აკრამერინსა და ოლმელინის სახელწოდებებს.

საფუძველი კი ქართული და თანაც პირადული იყო: პიგმენტ აკრამერინის სახელწოდება მეცნიერის, მისი ვაჟი-შვილისა და მეუღლის სახელების პირველი მარცვლებიდან წარმოდგება (აკაკი, რამაზი, მერი).

რაც შეეხება პიგმენტ ოლმელინის, ის მეცნიერმა თავისი მშობლების ოლიასა და მეღვინის პატივსაცემად „მონათლა“.

ეს ნივთიერებები ფართოდ მოიხსენიება დღესაც სამეცნიერო ლიტერატურაში მათი აღმოჩენისა და პირველმეცნიერების მიერ შერქმეული სახელწოდებებით... (აკად. ვახტანგ პარკაძე).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შაქარივით ტკბილი კაცი ბრძანდებოდა პროფ. აკაკი გახოკიძე, რომელიც, როგორც აღნიშნავს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პროფ. ალექსანდრე დლონი.

პროფ. ალექსანდრე დლონი, იყო მეცნიერი და უზარმაზარი მოქალაქე. შეიძლება მეცნიერი იყო და მოქალაქედ არ ვარგოდ. მე (ა. დ.) მაგონდება ერთი წაქითხული წიგნი ანტუან ლავუაზიეს შესახებ, სადაც ავტორი წერდა: ლავუაზიესთვის ფრანგ ხალხს არ დაუფრთხილეს, მან თვითონ დაიდგა ძეგლი, ეს ძეგლი მთელი ქიმიიაო.

აკაკი გახოკიძეს ჩვენ ვერ დაუვლით ძეგლი. მან თვითონ დაიდგა ძეგლი. ეს მისი შესანიშნავი შრომებია, რომლებიც რჩება ქართული მეცნიერების მემკვიდრეობად. (პროფ. ალ. დლონი).

პროფესორ აკაკი გახოკიძეს, ნახშირწყლების ქიმიის პირველ ქართველ მეცნიერს დიდი წვლილი მიუძღვის ახალი სამეცნიერო პრეპარატების შექმნაში. როგორც აკადემიკოსი ეიურ ქემერტელიძე წერს, საყოველთაოდ აღიარებულმა და ბრწყინვალე მეცნიერმა პროფ. აკაკი გახოკიძემ, მიიღო სტრუქტურის და ასპირინის წყაღში ხსნადი ფორმები. პირველმა გამოიყენა ნახშირწყლები სხვადასხვა წამლის ტოქსიკურობის შემცირების და მათი მოქმედების აქტიურობის გაზრდის მიზნით. შემდგომში ამ მიმართულებამ ფართო გამოყენება პოვა ფარმაცევტულ და სამედიცინო გამოყენებებში. (აკად. ეიურ ქემერტელიძე).

პროფესორ აკაკი გახოკიძის მეცნიერული მემკვიდრეობა მისაბამი მაგალითია ახალგაზრდა მეცნიერთათვის. მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობა, აღნიშნავს პროფ. აკაკი გუნცაძე, ის თესლია, რომლისგან აღმოცენებული ნაყოფი საუკუნეების მანძილზე თაობათა მუდმივ საკმეველად იქცა.

მე მქონდა ბედნიერება, იხსენებს პროფ. აკაკი გუნცაძე, ბატონ აკაკი გახოკიძის უშუალო ხელმძღვანელობით დამემუშავებინა სიმინდის ნაქუჩიდან შაქრის მიღების მეთოდი, რომელსაც უცხოეთში (უნგრეთი) იყენებენ ლიმონათის წარმოებაში...

მეცნიერების ისტორიის განვითარება დიდად არის დამოკიდებული ორიგინალურ მოაზროვნეებზე. როდესაც პროფესორი გიორგი მაჭარაძე მეცნიერების ისტორიის საკითხებს ეხება, აღნიშნავს, რომ „მეცნიერების ისტორიას ისეთი ფიგურები ქმნიან და ამშვენებენ, რო-

გორც პროფესორი აკაკი გახოკიძე იყო“.

პროფესორ აკაკი გახოკიძის უდიდეს დედაწესს ქიმიის მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით, მაღალ შეფასებას აძლევს, საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი შოთა სიღამონიძე. იგი ბრძანებს: „პროფესორმა აკაკი გახოკიძემ დრმა ხნული გაავლო ქიმიურ მეცნიერებას, თავისი მაძიებელი და ანალიტიკური გონების წყალობით გაასწრო დროს“-ო.

გარდა ქიმიის მეცნიერებისა, სათანადო წყაროებიდან ცნობილია, რომ ბატონი აკაკი ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. ამავე დროს, როგორც ყველა ნადი ქართველი, იგი შესანიშნავი თამადა ბრძანდებოდა. მისი იდეალი ბუდკრული საქართველო იყო. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კარლო ბლაგიძე წერს: ბატონი აკაკი იყო დიდი პატრიოტი. მას საქართველოს მიმავალი სწამდა და ამ მიმართულებით იგი ბევრ საინტერესო იდეას გამოთქვამდა, რომ „საქართველომ უნდა მიადვილოს დამოუკიდებლობას, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ და სულიერ-კულტურულ დარგში“-ო. პროფესორ აკაკი გახოკიძეს არც ღირსება აკლდა და არც სერიოზულობა, ამასთან ერთად, იგი იყო დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, მეზნებარე პატრიოტი და პუმანისტი.

ასეთი დიდი პატრიოტები, პუმანისტები და მამულიშვილები სჭირდება დღევანდელ საქართველოს. სასახელო შვილები კი ძალზე ბევრი აღზრიდან საქართველოში და მათ შორის მარტვილშიც კი. გახუთ „მარტვილის“ რედაქტორი, ბატონი ფაუსტი ნადარაია და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ბატონი ჯამბულ ხუროძე, ერთხმად აღნიშნავენ: „ვინ იცის, სრულიად საქართველოსთვის რამდენი სასახელო შვილი აღზურდა გიორგი ჭყონდიდელის, იოანე მინჩის და ამბროსი ხელაიას ოდაბდეს – მარტვილს. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეულია პროფესორი აკაკი გახოკიძე“.

ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს და ყოველთვის პატივისცემით შეინახავს დიდი მეცნიერის, პედაგოგის და მამულიშვილის – პროფესორ აკაკი გახოკიძის ხსოვნას.

ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მარტვილის ინტელიგენციის მოთხოვნით, მარტვილის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მიენიჭა პროფესორ აკაკი გახოკიძის სახელი.

ბატონმა აკაკი გახოკიძემ, როგორც საოცარი ენერჯისა და მაღალი ენუდციის მკვლევარმა, დიდი ნიჭის პატრონმა და თავის დარგში მუშაობით გატაცებულმა ადამიანმა, წერს აკად. გიორგი ციციშვილი, შექმნა შესანიშნავი ქართული ოჯახი. მისი მეუღლე გახლდათ, ასევე ქიმიკოსი ქალბატონი მერი გაბუნია. „დიდი ქიმიკოსები“ – ასე ჰქვია წიგნი, რომლის ავტორები არიან ალექსანდრა და შტეფან სენკოვსკები. წიგნი მკითხველებს მოუთხრობს იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა ქიმიის მეცნიერება პოლონეთში. წიგნის თარგმანი ეკუთვნის ქალბატონ მერი გაბუნიას.

სამეცნიერო სამყაროში ფართოდ არის ცნობილი პროფ. აკაკი გახოკიძის შვილი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ გახოკიძე. ასევე ქიმიური მეცნიერების გზას გაჰყვა ბატონ რამაზის შვილი, დიდი აკაკი გახოკიძის გზის გამომკვლეველი – აკაკი გახოკიძე. არის ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, წერს ლექსებს, გამოცემული აქვს ლექსთა კრებული.

ასეთია მოლედ, პროფ. აკაკი გახოკიძის, ქიმიის მეცნიერების კორიფეს მიერ განვლილი გზა მეცნიერებაში.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეორე სართულის საგამოფენო დარბაზში თქვენს ყურადღებას მიიქცევს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შიგ და გარეთ გაუფორმებიათ ისე, როგორც ერთნულ განძს ეკუთვნის, და საგანგებო თანხაში მოუთავსებიათ. წიგნთან მიახლოებისას მოწიწება შეგიპყრობთ, თითქოს რიდი ან შიში გეუფლებათ, სიმშვენივრე არ დაგურდვით მრავალბროლაგამოვლილს, ხმაღაცვეთილს მის ავტორსა და წიგნის მოქმედ გამირებსო. გარე ყდა ისე მიმზიდველია, რომ პირველ ხილვისას ქართველი შვილისეული ეგზემპლარი გვეგონებათ.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. იგი უფრო საინტერესოა, ვიდრე შორიდან ჩანს.

ამ წიგნისადმი ინტერესი მისივე ასაკის ტოლია. უტარებია აქარიშხლებული სული საუკუნეების ქართველებში. უტარებია გამარჯვებიდან გამარჯვებამდე და ჩვენამდე მოუღწევია, როგორც მარადიულობის სიმბოლო. მსოფლიო ამტყვევლა და როცა სიცოცხლე აქცია მარადიულობად დედაჩანსთან ერთად შეუხისხლხორცდა ერის სულს.

გმირობისა და სიყვარულის დიდი საგალობელი საკაცობრიო საგალობლად იქცა. ამ გარემოებას წყალობად ექცა ე. წ. არასაანბანო ენები, რომლებიც ჩქერალებივით მოქშუიან დიდ მდინარედ ქცევის მოლოდინში.

კოლხმა რაინდებმა გაითავისეს შოთას პოემა, ტარიელის ამბავი საკუთარ აზრად აქციეს და ვეფხვის ტყავი გამარჯვების სიმბოლოდ გაიხედეს. „ქართულ პოეზიას მაღალ საფეხურს მხოლოდ რუსთაველის სახელი უნარჩუნებს“ (აკ. გაწერელია, „ქართული კლასიკური ლექსი“).

ვინ მოთვლის, მერამდენედ იბადება კოთხვა, არის თუ არა ქართული ენა მეგრული? და თუ არა, მაშინ უნდა ჩავთვალოთ არასაანბანო კავკასიური ენები დამოუკიდებელ ენებად? საკითხი თითქოს გადაწყვეტილია, მაგრამ არცაა. ჩვენ აქ სულკურთხეულ რუსთაველს გავიხსენებთ და ჩემი თავლასხრისიც ეს იქნება: ვინც კავკასიურ მცირე ერებს დამოუკიდებელ ენობრივ ფუნქციონირებად თვლის, „ცუდია და ცუდად ცთობის“.

აბელ ფეტვლიას „ვეფხისტყაოსანი“ ბავშვობიდან იტაცებდა და საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, პოემა თითქმის ზეპირად იცოდა, დამერწმუნეთ, რომ აქა-იქ თუ საჭიროებდა დახმარებას. წერდა მშვენიერ ლექსებს, პოეტურად მომხიბლავსა და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, მეტ შემთხვევაში უნაკლოს. ერთჯერ გამიმხილია, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ვთარგმნო მეგრულად. მე სხვა დროსაც მიფიქრია ამ საგანზე და დაეჭვებით მივუგე, მაგ საქმისათვის მარტვილის მეგრული საკმარისი არ არის, საჭიროა იცოდეს სენაკის, სობის, ჩხოროწყის, წაღენჯის, გაღის, ოჩამჩირის და საერთოდ აფხაზეთის სამეტყველო მეგრული-მეთქი. გულდასმით მომიხსინა, მეგრე გულიანად გაიცინა, გამოსავალი ვიპოვე; ვთხოვე ხელისუფლებას, ერთი საპრობოლო ამოცო და პატიმრების შემადგენლობა ქე იცი და ის არისო. გავიცინეთ. მალე ბატონი აბელი გაზეთის რედაქციაში გადაიყვანეს, სადაც სულ წუწუნებდა, მცირე ხელფასი მაქვსო და რედაქტორთან შთანხმების გარეშე სამუშაოდ გადავიდა ხილის დამზადების კანტორაში, სადაც გაასამართლეს და შვიდი წელი პატიმრობა მიუხაჯეს. ეგებ არ მერწმუნოთ, იმ დღესვე შეუდგა შოთას პოემის თარგმნას. ერთი წელი ლექსიკონს ადგენდა. ჩვენს მიერ დასახელებული მეგრელები ჩაებნენ მუშაობაში, 6 თუ 7 წლის დაუღალავი შრომის შემდეგ პატიმრობაც დამთავრდა და თარგმანიც.

ამჟამად მუზეუმში დაცულია სულ მეგრული თარგმანის ექვსი ტექსტი სრულიცა და არასრულიც. აი ისინიც:


1. კაკა ფანაზის, სრული, ბეჭდური.
2. გედონ შანაგას, სრული, ბეჭდური.
3. აბელ ფეტვლიას, სრული, ხელნაწერი.
4. სერგო უბირიას, არასრული, ხელნაწერი.
5. ჰამლეტ ნადარაიას, არასრული, ხელნაწერი.
6. კალე სამუშიას, მხოლოდ ცნობა, რომ უთარგმნია.

ნიჭიერი კაცი იყო აბელ ფეტვლია და ასეთად დარჩა. ოღონდ ის არის, რომ მძიმე ავადმყოფი საწოლს არის მიჯაჭვული.

ამ გვერდისათვის მასალები მოგაწოდა პეტრე კირთაძემ

ილორი

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

უბნის ზედამხედველი წავიდა; მაგრამ მისი აქ გამოჩენაც კი საკმაო იყო, რომ დადგენილი იყო ადგილობრივი უკანასკნელ ხანს კონსტანტინე განსაკუთრებით ყოფილა ადგილებზე; გაგარინი, დიდი ხანი იყო, არ ენახა, რათგან ის მხოლოდ და მხოლოდ სამეგრელოს საქმით იყო გართული; ბარტოლომეი წინანდებურათ აანხლებდა; ყური ჰქონდა მოკრული, რომ უსლარმა რაღაც დიდი რამ დასწერა და ტფილისში გაგზავნა; ყოველისავე ამისაგან კონსტანტინე სასიკეთოს არაფერს მოელოდა. ამ მეტად უბედურ ადამიანისათვის, რომელსაც თავისი ოჯახი, ავტო სამი თვეა, არ ენახნა და მისხა მოშორებას ნაღვლობდა, მისი საუკეთესო წუთები-ლოცვის წუთები იყო და ამა, არ უნდათ, ეს წუთებიც ტკიბლად ჩაატარებინონ, ისიც უნდათ ჩააშაშაონ. რაკი გაგარინმა კაცი გამოიგზავნა და მთხოვა მასთან მისვლა. - გაიფიქრა დადგენილიანმა, - ალბათ, რაგაც ახალი რამ მოხდა ჩემის საქმისათ. ვიმეორებთ, კარგ არასფერს მოელოდა კონსტანტინე და ამა, უფრო გულმხურვალეთ გაანაგრძო ლოცვა, და ერთბაშით ისევ შეაწყვეტინა ლოცვა იმავე უბნის ზედამხედველმა.

დადგენილიანი და იხიუმსკი პირდაპირ გაგარინის კაბინეტში შევიდნენ. გაგარინი, ჩვეულებრივ, ზრდილობიანადა და აღერხიანათ დაუხვდა დადგენილიანს. - ძალიანა მწყინს, რომ წირვის დროს შეგაწუხებთ; მაგრამ ანდრიავე ანდრიავეს-ქემ ალბათ აგისხნათ მიზეზი. თქვენის საქმის შესახებ ქაღალდი მომივიდა. აილო მაგიდიდან ქაღალდი და იხიუმსკის სთხოვა დადგენილიანისათვის წაეკითხნა და ქართულად გადაეთარგმნა. ყველანი ფეხზე იდგნენ. დადგენილიანი კარებს მარჯვნივ იდგა, ბუხრისაკენ ზურგმუქცეული, მას გვერდით-იხიუმსკი, ხოლო გაგარინი ქაღალდის კითხვის დროს კაბინეტში ბოლთასა სცემდა. იხიუმსკი რაც უფრო ათავებდა კითხვას, კონსტანტინეს სახე უფრო და უფრო ექმუხებოდა, თვალები სისხლით ესვეებოდა.

- თქვენო ბრწინვალეობა, გაგარინი უმჯველათა გთხოვთ ახლავე წამობრძანდეთ. გორდში მიბრძანდებ და წასვლის წინ თქვენი ნახვა ანებავს. მაშინ დადგენილიანმა უთხრა, კარგიო რამდენჯერმე პირჯვარი გადაიწერა, ხელი ჩაიქინა, თავზე ქუდი დაიხურა და გამოვიდა. როცა უბნის ზედამხედველი მეორეჯერ გაგზავნეს გენერალ-გუბერნატორის სახლიდან, და იხიუმსკი ადგილებზე სახეს რომ უყურებდა გაგარინისას, რომელიც გაჯავრებულად იძლეოდა ბრძანებას დადგენილიანის დაბადების შესახებ, გაგზავნილ უბნის ზედამხედველს თითონაც უკან გაჰყვა და კონსტანტინეს შუა გზაზე შემოხვდა. შეატყო სახეზე, რომ ისიც აშფოთებული იყო და აუხსნა, გაგარინი მოუთმენელი იმიტომ არის, რომ გორდში წასვლამდე თქვენი ნახვა ანებავსო.

ბოლოს, ქაღალდის კითხვა გათავდა და გაგარინმა დაიწყო ლაპარაკი. - როგორცა ხედავთ, თავად, თქვენი საქმე ხელმოწერისთან არის გაგზავნილი; პეტერბურგში საბოლოოდ გადასწავლება. ჩვენი ხელმოწერა მოწავალა და მტკიცედ უნდა იყენეთ დარწმუნებულნი, რომ თავის წყალობას არ მოვაკლებსთ. სანამ პეტერბურგიდან პასუხი მოვიდოდეს, მეფისნაცვალმა საჭიროდ დაინახა თქვენ საცხოვრებლად ერევანი დაგეგმიშნოსთ, და თქვენს ახლა იქ გაემგზავრებინათ. დადგენილიანი ყოველსავე ამას თავაქინდრული უსმენდა, და როცა გაგარინმა ლაპარაკი გაათავა, ერთხანს კიდევ სდუმდა. - თავადს უთხარი, - დაიწყო დადგენილიანმა და იხიუმსკის მიუბრუნდა: - ხელმოწერისა და მეფისნაცვლის ურჩობა აზრადც არა მქონია; მაგრამ ვთხოვ, ჩემს გაჭირებულ მდგომარეობასაც მოახედოს: აბა სად შემიძლია ერევანში წასვლა, როცა შინ ყველაფრისათვის თავი მაქვს მიხებებული და უპატრონოდ დამყრია. გარდა ამისა, ეს სამი თვეა ცოლშვილი არ მინახავს. - ჰო, ეს ყველაფერი მართალი გახდავსთ, თავადო, - უპასუხა გაგარინმა, - მაგრამ რასაც მოხვით თქვენის შინაურის საქმეების შესახებ, ყველაფერს უკლებრივ ავასრულებ. ამ საქმეს საიმედო კაცს მივანდობ, რომელიც საგანგებოთ ამისათვის სვანეთში წავა. - არა, ამისათვის ჩემი პირადით იქ ყოფნა საჭირო. მე ჩემს საქმეებს ვერავის ვანდობ, და ისევ ვიმეორებ, ამდენი ხანია ცოლშვილს მოწყვეტილი ვარ... შინ წასვლის ნება გვიბოძეთ, ყველაფერს მივაწყო-მოვაწყო და ისევ დავბრუნდები. - ამას ვერ ვიზამ, უფლება არა მაქვს. მეფისნაცვლის განკარგულება ზემოწვევით უნდა შევასრულო. არ შემიძლია სვანეთში გაემგზავნა, და ერევანში უნდა წაბრძანდეთ; იქიდან ბარიატინსკის სთხოვეთ, თქვენს გაჭირვებას ანგარიშს გაუწვეს და შეეცადება როგორც სამჯობინო იქნება, ისე დაგეხმაროსთ. - მე მაინც გთხოვთ, ახლავე გამიშვათ. - არ შემიძლია! არ შემიძლია!..

გაგარინმა კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო და ეტეობოდა, გული მოსდიოდა. - სამი თვით გამიშვით, ამ ხანში ყველაფერს მოვაწყო, და დავბრუნდები. - როგორა? სამი თვით! - გაგარინმა გულკეთილად გადაიხარხარა, - სამი თვით კი არა, სამი დღით არ შემიძლია გაემიშვათ... აღარც სამის საათით დღესვე უნდა წაბრძანდეთ, პო, დღესვე... დადგენილიანს ყოველი სიტყვა იუხიუმსკის დაუხმარებლად ესმოდა. გაგარინმა უკანასკნელი რომ უთხრა, მობრუნდა და ისევ სიარული დაიწყო. იხიუმსკიმ თვალი რომ მოჰკრა, დადგენილიანმა სატეგარს ტრაცა ხელი, გაგარინს უკანიდან მოაძახა გრანგულათ: - უფრთხილდით, თავადო, მოკლას გიპირებესთო! გაგარინი ისე იყო ადვილებული, რომ ალბათ ვერაფერი გაიგონა, ხოლო დადგენილიანმა ხელი ჩამოუშვა. - მე იმიტომ მოვიხმეთ, - დაიწყო ისევ გაგარინმა: - რომ თქვენთვის შემეტყობინებინა ნება-სურვილი მეფისნაცვლისა, ეს ნება-სურვილი დაუყოვნებლივ უნდა იქნას ასრულებული, მეტი არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი. დღესვე უნდა გაემგზავროთ ერევანში. გაგარინმა თავი დაუქრა და იმით აგრძობდა - მეტი არაფერი მაქვს სათქმელი და აუდიენციაც გათავადო. - უთხარი, - დაიწყო დადგენილიანმა და ისევ იხიუმსკის მიუბრუნდა: - ფული სრულებით არა მაქვს-თქო. როცა იხიუმსკიმ დალაშქრებდა ესა, გაგარინმა, უვე ცოტათი დამშვიდებულმა, უპასუხა: - ამაზე ნუ სწუხს, ფული, რამდენიც უნდა, იმდენი ექნება, პოლკოვნიკ ბარტოლომეის ეძლევა იმდენი ფული, რამდენიც მისთვის საჭირო იქნება სახარჯოდ. შეუძლია, რამდენიც საჭიროება, მოსთხოვს. მაგრამ მეც ფული უნდა მივსცე... ამის თქმაზე გაგარინი გაგარინი მოტრიალდა, მივიდა თავის მაგიდის უჯრასთან და დაიწყო მისთვის ამოღება. მაგრამ ამ საბედისწერო წუთის დადგენილიანმა თავისი საშინელი სატეგარი ქარქაშიდან იშოშვლა, დააცხრა გაგარინს და ორჯერ შემოჰკრა-ერთხელ ხელზე, მეორეჯერ-მუცელში. ამის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის სახლში კიდევ სამი კაცი გახდა ამ სიბრაზისაგან გაცოფებულ კაცის მსხვერპლად. თარჯიმან არდიშვილს სატეგარი გულში გაუტარა და იქვე უცებ მოჰკლა; ნიკოლოზ პეტრეს ძე ილინი, რამდენსამე ალაგას დაჭრილი, სახედასახინებელი, მალე სულს განუტევეს; მხარეული მაქსიმე დაჭრილი აივანზე ჰკოვრავს. კატასტროფის მოწმენი გაქცევის თავსა შშველიანი. მიელს ქალაქს ელვის სიმადლეზე მოედო უბედურობის ამბავი, ყველანი გაგარინის სახლში მობრძანდნენ; იქვე მოიჭრა სახაზო ბატალიონის ასეული. გუბერნატორი ივანოვი, პოლიცემისტერი, მიელი ხელისუფლება აქვეა. გაგარინი, კაბინეტიდან ფოროში გამოვარდნილი, იქვე მიწაზე დაეცემა და სახლის ფრთეში მოათავსებენ. ექიმები თავს ეხვევიან. მაგრამ დადგენილიანი სადღაა, ყველასად უპოვინათ; ჩონქოლი და აურზაური არ შეწყვეტილა და ერთბაშად სომხის შესახვევიდან, რომელიც გენერალ-გუბერნატორის სახლის გვერდით იყო, ყვირილი მოისინა **„აქ არის, აქ არის!“** იქითავე გაიჭრება ასეულის კომანდირი თავის ასეულითურთ; აღმოჩნდა, რომ დადგენილიანი ბაქრაძის სახლში შესულა. სახლს შემოეხვევიან, უძახიან - გამოდი, დაგენებდით, მაგრამ კონსტანტინემ თურმე კარს უშველებელი დივანი მიაქვდა, რომელსაც მერე რამდენიმე კაცმა-კი ძვრაც ვერ უყვეს; ბაქრაძის ოთახში უპოვინა თოფი, შიგ მის ჩოხაში ჩაწობილი ვახნები ჩააწყო, დაიწყო სროლა და კიდევ სამი კაცი დასჭრა. მაშინ გუბერნატორმა ივანოვმა ბრძანა ესროლათ მისთვის. ტყვიამ მკლავი მოამტვრია, დაიჭირეს და გაუვახტაში წაათრეს. ყოველივე ეს იმაზე უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე მისი მობა შეიძლება, და პირველ ხანს ვერავის გაიგია კარგათ, რა მოხდა. ქალაქი საშინლად ადვილებულია. ერთსა და იმავე დროს გაგზავნეს-იხიუმსკი გორდში კნენა გაგარინთან და იფრინდა - ტფილისში მოხსენებითურთ. ტელეგრაფი მაშინ ჯერ არ იყო. ექიმებმა გაგარინის ჭრილობა მომკვდინებლად იცნეს და საშინელის წვალების შემდეგ გარდაიცვალა ოქტომბრის 27, პარასკევს. თალხან არდიშვილი და ნიკოლოზ პე-

ტრეს ძე ილინი დაიღუპნენ, როგორც უსაზღვროდ ერთგულნი გაგარინისა. პირველს კაბინეტიდან გაგარინის ყვირილი რომ მოესმა, ზალიდან ხმლიანი გამოიქცა და მიპარდა დადგენილიანს; მაგრამ კონსტანტინემ არდიშვილის მოქნეული ხმალი აიცილა და სატეგარი შიგ გულში გაუტარა, ილინმა უიარალოთ უკნიდან ხელეები დაავლო დადგენილიანს და ამ წუთას ვინმე რომ მიშველებოდა, შესაძლებელი იყო დადგენილიანისათვის იარაღი წაერთმიათ; მაგრამ ვერავინ მიეშველა... ყველანი გაიქცა-გამოიქცნენ და დაიშლნენ. დადგენილიანს ძალიან გაუჭირდა ილინს ხელიდან გახსლტომოდა და როცა თავი გაითავისუფლა, უსულდმერთოდ დაიწყო საცოდავ, უიარალო მსხვერპლს სატეგრით ჩეხვა სახეში და საცაკი მოხვებოდა. მხარეული მაქსიმე, გაგარინის ნაყმევი, როცა დადგენილიანი აივინდან ბაღში ჩამოვარდა, უკნიდან ზედ დაახტა, მაგრამ დადგენილიანმა სატეგარი ერთი რომ დაარტყა მხარში, მიწაზე დაანარცხა. კიდევ კარგი, მისი ღრმა ჭრილობა მომკვდინებელი არ გამოდგა. დადგენილიანი ბაღში როინის ნაპირიდან მივიდა და ყოყმანობდა: გავიდეთუ არ გავიდეთ წყალშიო! მაგრამ რაკი ფონი არ იცოდა, მარცხნივ მოუხვია და ნაპირნაპირ სომხის ქუჩაზე გამოვიდა, და აქ იყო, ბაქრაძის სახლში რომ დაიჭირეს. ამ ამბის შემდეგ სამმა დღემ განელო, ისე ქუთაისში ჩამოვიდა გენერალი თავადი ბევთაბეგოვი, ბარიატინსკის მიერ სამხედრო-საველე სასამართლოს დანიშნული. ამ სასამართლოს წინაშე წარსდგა თავადი დადგენილიანი. კონსტანტინე მარცხენა მკლავში იყო დაჭრილი და ძალიან იტანჯებოდა ტკივილისაგან, მაგრამ სასამართლომ არ მიხვდა მის ავადმყოფობას და საქმე მაინც გააგრძია. ბრალდებულმა დამცველად აირჩია სამეგრელოს მმართველი კოლუბიაკინი, მაგრამ რათგან კოლუბიაკინი მაშინ ქუთაისში არ იმყოფებოდა, სასამართლომ არ შეიწყინარა მისი არჩევანი და თვითონ სასამართლომვე დაუნიშნა დამცველად გუბერნატორი, გენერალი ივანოვი. სასამართლოში კონსტანტინემ განაცხადა: გაგარინი განრისხებისას შემომაკვლა და ძალიან ვწუხვარ მის სიკვდილსათ: - **„გაგარინი კარგი კაცი იყო და მე ცუდს ანაფერს ვუზამდი, მაგრამ უკანასკნელი შეხვედრის დროს თავისი სიფიცხით და ჯიუტობით მოთმინების ფილა ამივსო. მიყვიროდა და მე-კი, როგორც მთავარი, ჩვეული არა ვარ ასე მომეპყრან. მე მოკვლა მინდოდა გაგარინისა კი არა, უსლარისა და ბარტოლომეისა. ესენი იყვნენ, რაც იყვნენ, ბორტოები, მანგებლები, გაგარინის თავტენი დაუბნიეს; ძალიანა ვწუხვარ, რომ ორივე მოუკვლელი გადამირჩა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ჩემს მიერ მოკლულთა არდიშვილისა და ილინის სულს, ესენი თვითონ დაემკვდნენ, მე რომ იმათ არ მოურთოდი, მოუკვლავს არ გამიშვებდნენო“.** სასამართლომ დადგენილიანს დახვერტა მიუსაჯა და განაჩენი მეორე დღესვე შეასრულეს. აი, ამგვარად, რამდენი სისხლი და მსხვერპლი დასჭირდა ამ პატარა სვანეთის სამთავროს გაუქმებას. რომლის არსებობის შესახებ ჩვენს ვრცელს სამშობლოში თითო-ოროლას თუ-ღა ჰქონდა რამე ცნობა. ყოველმხრივ სამწუხარო იყო დაკარგვა ასეთის საუცხოო პიროვნებისა, როგორც იყო გაგარინი; მისდამი რწმუნებულ მხარეს მისის სიკვდილით ბევრი რამ დააკლდა; არ შეიძლება არ ვიწუხოთ სიკვდილი თვით კონსტანტინე დადგენილიანისა, რომელმაც ეს ბოროტება ჩაიდინა უკიდურეს გაანხლებების დროს, როცა გაანხლებლა სიცოფედ გადაექცა. არ შეიძლება არ მოვიგონოთ ისიცა, რომ მთელი მისი სიცოცხლე ყრმობიდან მოკიდებული სახე იყო მეტად შავ-ბნელ ხასიათის შემთხვევებითა. კონსტანტინე მოქცეული იყო ორ ერთმანეთის მოსისხლე მტერს შორის, ორ დიდ მესობელ შორის, რომლებთან შედრებით ეს მცირემაშულიანი მთავარი იყო, ძალაუნებურად იყო ჩართული მათს ბრძოლასა და ინტრიგებში, თამაშობდა მეტად პასიურ როლს და ითმენდა ყოველგვარ შეურაცყოფას და უსიამოვნებას. არც უსლარია ახლა ცოცხალი და აღარც ბარტოლომეი და თუმცა - **de mortuis aut bene, aut nihil**, (მცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი) მაინც საპართლიანობა მითხოვს, რომ მთელის ამ დრამის უმთავრესი მიზეზი იყო მათი უტაქტობა, განსაკუთრებით პირველ მათგანისა.

ნანა კაკაბაძე

როსა კანონი დაპატიმრებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რეპრესიული ორგანოა

ქვეყანა უკანონობის ვირუსითაა ინფიცირებული, სამართალი სანთლით საძებარი გახდა. მოსამართლე და დამნაშავე არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რადგან ორივე ერთი დოზით არღვევს კანონს. ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პატიმრების უფლებათა დამცველს, ქალბატონ ნანა კაკაბაძეს.

– ქალბატონო ნანა, რამდენად კვალიფიციური მოსამართლეები გყავს?

– როცა ქვეყანაში არ არსებობს სამართლიანი სასამართლო და გადაწყვეტილებებს არა კანონზე დაყრდნობით, არამედ პოლიტიკური გარემოდან იღებენ, მნიშვნელობა აღარ აქვს მოსამართლეთა კვალიფიციაციას. მნიშვნელოვანია ხელისუფლების იდეების განხორციელება და საზოგადოების ჩაგვრა. მთავრობამ ხელი შეუწყო უკანონობას და დაუმზადა ვერც ერთ წოდებული „ჰაიდლაინები“. ამ წიგნის მეშვეობით მათ ზუსტად იციან, ამა თუ იმ დანაშაულისთვის როგორ განაჩენი გამოიტანონ.

რამდენიმე წლის წინანდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მოსამართლეებს ადრინდელზე მეტი უფლება მიანიჭა. ვეულისხმობ მედიის დასწრების აკრძალვას პროცესებზე. მართალია, ძალიან ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაშიც აკრძალულია სასამართლო პროცესებზე ტელევიზიის დასწრება, მაგრამ მსგავსი თაღლითობა და უკანონობა იმ დოზით არ ხდება, როგორც სა-

ქართველოში. მედია წარმოადგენდა საზოგადოების გარანტს. მოსამართლეები ათვითცნობიერებდნენ, რომ მათ მიერ ჩატარებული პროცესი დღეს თუ ხვალ საჯარო გახდებოდა და ცდილობდნენ, მეტ-ნაკლებად სამართლიანები, ობიექტურები და დემოკრატიული ყოფილიყვნენ. სწორედ ეს დემოკრატიული უფლებები გამოიყენეს ბოროტად. პროცესებზე საზოგადოებას დასცილდნენ, ამცირებენ და უმიზეხოდ აჯარიმებენ. დღევანდელ საქართველოში მოსამართლის ცოდნა და გამოცდილება ბოლო პლანზეა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ 20-22 წლის ახალგაზრდებს ურიგებენ თანამდებობებს, ლამის 17 წლის სკოლის მოსწავლეები დანიშნონ მოსამართლედ. კანონით, შეუძლებელია ამ ასაკის პიროვნების დანიშვნა, რადგან პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია. მოსამართლის პროფესია ხანგრძლივ პროცესს მოიცავს, სწავლის, პრაქტიკის და ა.შ. მაგრამ მათი განათლება ხელისუფლებას არ აინტერესებს, რადგან უციცლებლად უფრო ადვილია. მათ ინტერესში მხოლოდ პოლიტიკური დაკვეთის აღსრულება შედის. სწორედ ასეთი ბარბაროსული გადაწყვეტილებებია მიღებული მოსამართლეების მხრიდან.

ქვეყანაში, სადაც სასამართლო არ ყვრდნობა დამოუკიდებელ არბიტრს, იქ ვერც კანონი და ვერც მართლმსაჯულება იარსებებს, რომელიც გარეგნულად დამოკიდებულია მხოლოდ პროკურატურაზე. პროკურატურაშიც არის „შეფუთული“ პოლიტიკური ნება და მორჩილებით ასრულებენ ყველა მათ ბრძანებას.

ამის დადასტურება ისიც, რომ სასამართლოზე მხოლოდ პროკურორია წარმოდგენილი. სადისტობა, ხადხის ნების სრული უგულვებლყოფა ყველანაირ ზღვარს გაცდა, რაც ბევრ საკითხში გამოვლინდა. მაგალითად, დღეისათვის პრობაციას ექვემდებარება 25.000 ადამიანი, პატიმარიც 25.000-ია. კიდევ უფრო ბევრია ის, ვისაც ჯერ არ აქვს მისჯილი და ძიებაა მათზე. დაახლოებით 70 000-ს აღწევს მათი რაოდენობა. საქართველოს ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. დღეს თითქმის ყოველი მეორე ოჯახი პატიმრის პატრონია. საქართველო პოლიციური სახელმწიფოა და ამას არც უარყოფს ჩვენი მთავრობა, რომელიც ამაყად აცხადებს: „ამ ქვეყნის ხერხემალი ვანო მერაბიშვილია, დანარჩენი კი – მიშა სააკაშვილი“.

ოპოზიციას ხვდებიან არა საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში ან იუსტიციის სამინისტროში, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. მისმენების ღია პროპაგანდა მიმდინარეობს, უსმენენ კიდევ, პასუხს კი არავენ აგებს და არც არავენ ისჯება. ყველამ იცის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველას უსმენს და სწორედ ამაზე დამოკიდებული მთელი საგამოძიებო სისტემაც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის რეპრესიული ორგანო, ის დაუფარავად აშინებს და ატერორებს საზოგადოებას. ამ მხრივ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ საშიშ ქვეყანად იქცა, რამაც განაპირობა ხადხის გადინება ქვეყნიდან. ქვეყანა ლამის დაიცალა მოსახლეობისაგან.

ვინც პროტესტს ხმამაღლა გამოხატავს, ხდება მათი მასობრივი აყვანა. ამიტომაც გამოაქვთ სასამართლოზე ცალსახად პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ბათიაშვილის, რამიშვილის, ქუცნაშვილის, იგორ გიორგაძის მომხრეების სასამართლო პროცესებზე დიდი ზეგავლენა იქონია ხელისუფლებამ, რათა კიდევ ერთხელ გამოეჩინათ საკუთარი კონსერვატიზმი. და ეს მაშინ, როცა პირველადინი დამნაშავეები (თუნდაც სანდრო გირგვლიანის და სხვა უდანაშაულო ახალგაზრდათა მკვლელები უამრავი პრივილეგიებით სარგებლობენ, ვადაზე ადრე ათავისუფლებენ ციხეებიდან ან საერთოდ არ აპატიმრებენ).

ზოგადად სახელმწიფოს კანონი და სასამართლო უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს, დამნაშავე უნდა მიახვედროს, რა არის კანონის დარღვევა და კანონმორჩილება, მაგრამ, სამწუხაროდ, მართლმსაჯულებისა და გამოძიების ქცევა მიანიშნებს იმაზე, რომ მათთვის სიტყვა „კანონი“ უცხოა.

– რამდენად სამართლიანია მოსამართლის მიერ მსჯავრდებულის ფულადი თანხით დაჯარიმება და როგორ განისაზღვრება ოდენობა?

– დღეისათვის, ფაქტიურად ეს ჯარიმები ავსებენ ბიუჯეტის 30%-ს, რადგან გარდა ფისკალური ღონისძიებებისა, სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსების სხვა წარს არ გააჩნია, რადგან ქვეყანაში ეკონომიკა ფაქტიურად არ არსებობს. ამიტომ არის, რომ ყოველთვის წლის დასასრულს მიმდინარეობს ეკონომიკური დანაშაულების გამოვლენის კამპანია,

რადგამ სწორედ ამ დროს უჭირს ხელისუფლებას სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. ეს უარდესად მაინც პრაქტიკაა, რაც, როდესაც იქნება, მიიმე განსაცდელის წინაშე დააყენებს ქვეყნის ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას. თვითონ დაჯარიმების უკიდურესი ქვედა ზღვარი კი გახლავთ 400-500 ლარი. ეს თანხა შეძლებული ადამიანისთვისაც კი ძნელად გადასახდელია. მოსამართლეს სრული უფლება აქვს, თუნდაც ემოციის გამოხატვის გამო დააჯარიმოს. არადა, როცა სასამართლო პროცესი უკანონოდ მიმდინარეობს, შეუძლებელია, ადამიანმა დაფაროს საკუთარი ემოციები. კანონმდებლობით, ავსკეტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულიც კი შემამსუბუქებელ გარემოებად განიხილება, ესენი კი უფრო ამძიმებენ.

– თვითდაზიანების შემთხვევებს თუ იცნობთ არასწორი განაჩენის გამოტანის დროს?

– დაზიანებისა და თვითმკვლელობის შემთხვევებიც ყოფილა, თუმცა ამას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, ვის რამდენად უმტკუნებენ ნერვებს, სულიერად და ფსიქოლოგიურად ვინ უფრო განადგურებულია, მათ სრულიად არ აინტერესებთ. ადამიანს, უდანაშაულოსაც კი უშვებენ პირდაპირ ციხეში, ადინანაც ან გამოვა ცოცხალი, ან – არა, რადგან იქ ისეთი ადმინისტრაციაა, ისეთი პოლიტიკა და პირობები, რომ გაუსაძლისია ყოფნა. პატიმრების უმრავლესობას ციხეში ყოფნას მართლაც სიკვდილი ურჩევნია. ესაუბრა

ნანა ღიხაძე

ქვეყნის დამაქცველო ნაციონალებო შემოგაკედებით და ამ ამბავს სათქვენოდ არ დაგამთავრებინებთ

„მიწყაღენ ჩვენ უფალო, მიწყაღენ ჩვენ, რამეთუ მრავლია ადვილენი ჩვენ შეურაცხებთა. უფროსად ადვილს სული ჩვენი ყვედრებთა მდიდართათა და შეურაცხებთა ამპარტავანათა“.

დავით წინასწარმეტყველი გალობაი აღსავალთაი 122.

მდიდართა, ამპარტავანთა, ღვთისმგმობთა და მრუშთა ადვილასხნილობას საქართველოში საზღვარი აღარ აქვს! არადა, ამბავი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. ნუ დაგვაიწყვება, რომ ეს ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც პირველად საქართველოში „თავისუფლების ინსტიტუტები“ ჭინკები გამოჩნდნენ! ეზო-ეზო, კარდაკარ, ხილულად თუ უხილადად ჯგრო-ჯგრო დამრწოდნენ და ტრადიციული მენტალობის ქართველობას ხან ქათქათა კბილებით ხიბლავდნენ, ხანაც კიდევ ვერცხლის ჩხრიალით!

ვის მოუვიდა პირველად საქართველოში ახრად, მიცვალებულთათვის ბაჟი დაწესებინა? – ვის და, ალბათ, მათ, ვინც მიცვალებულებს ჯერ საარჩევნოდ „რაზმადენენ“, ხოლო შემდგომ, ვითარცა ცოცხალთ, ისე განიკითხავდნენ: – გინდათ საქართველოში ყოფნა? – მაშინ გადაიხადეთ. არ გადაიხადით და მაშინ ამოგთხრით, თქვენს ჭირისუფლებს საფლავებში ჩამოგთყრით ან დაგაპატიმრებთ და განენის დღეს ვაწყველინებთ!

– არ გაბედოთ ჩვენს საფლავებთან მოახლოება, უდმერთოებო, თორემ ჩემი შვილის სულს ვვიცავ. ჯერ თქვენ მოკლავთ, მერე კი ჩემი ფეხით წავალ პოლიციაში. ვინ გკითხვობთ, ჩვენს საფლავებს მარმარილოთი მოვაპირკეთებთ,

თუ ბაზალტის ქვით თქვენ უნდა გკითხოთ, რა მცენარეს დაეურავ ჩემს მიცვალებულს, იმის მიხედვით რომ გადამახდევინოთ შემდეგ ფული? ბანდიტებო, კაციჭამიებო, რით ვერ გასკდა თქვენი მუცლები, ახლა მიცვალებულთა საფლავების ძარცვა-გლეჯა რომ დაიწყო? – რისხვით სავსე ხმით მოთქვამდა ახალგაზრდა ქალი და ფირმა „თერმის“ წარმომადგენლისკენ იწეოდა, რომელიც ვერის სასაფლაოზე იყო ამოსული.

– დაწყნარდით, ქალბატონო, ალბათ, კარგად ვერ ავისხენით სინამდვილეში რას ვაპირებთ – გადადგა ორიოდე ნაბიჯი უკან ლურჯთვალება „ბიზნესმენმა“ და სხვა ჭირისუფალ ქალბატონებს ამოეყარა, ძუ ლომად ქცეულ, შვიდმკვდარ დედას თვალები რომ არ ამოეთხარა მისთვის!

ვერის სასაფლაოზე მისულს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი ჩვენი ცოცხალი პლანეტის სირცხვილი მეკიდა ზურგზე! საბედნიეროდ, ჩემი დიდი ხნის მეგობარი ნანა ოდიშარია მალევე შევნიშნე შეკრებილ საზოგადოებაში და ვკითხე: შეგიძლია, ინტერვიუ მომცე იმ ყველაფერზე, რაც აქ დღეს ხდება-თქო? რა თქმა უნდა, დამთანხმდა და გთავაზობთ ამ ინტერვიუს: **ნანა ოდიშარია**

– მე და ჩემი ოჯახი ძირძველი ვერელები ვართ, ეს სასაფლაო 1986 წელს უკვე დაკეტილი იყო და აქ მიცვალებულთა დასაფლავება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა თუკი ჭირისუფალს, თავისი უახლოესი მიცვალებულის გვერდით, თავის ან ოჯახის სხვა წევრებისათვის „მოზომილი“ ნაკვეთი ჰქონდა შენახული. ეს სასაფლაო 1991-92 წლებში „მხედრონებლებმა“ გახსნეს და აქ საფლავებდნენ თავიანთ გარდაცვლილ მეგობრებს. ყველა

შინაური, ძალიან ახლოდელ ოჯახითა შვილები არიან და, თურმე, ახლა ახალი კანონებით, მე, ნანა ოდიშარიას, უფლება აღარ მაქვს, მათ საფლავზე ვიდაც ვივინდარების ნებართვის გარეშე ბაღახი მოგვლიჯო, ყვავილი დაგვრო, მოვრწყო და ჩვარი გადავუხვა მარმარილოს! **თურმე, დამლაგებელ ქალებს ჭირისუფლები რომ 10 ლარს აძლევენ, კორუფციაა და ის, რომ „თერმის“ პრეისკურანტი, ერთი ძირი ვარდის მორწყვის საფასური 2 ლარი და 50 თეთრია, ის – არა! კარგი, ვთქვათ, მე სამი ძირი ვარდი მაქვს დარგული და შესაბამისად თვეში 7-8 ლარს გადავიხდი, მაგრამ ის რა უბედურებაა, ჯერ კიდევ ცარიელი, შვილის გვერდით მოზომილი მიწის საფასურიც რომ უნდა, გადაახდევინონ ჭირისუფლებს? იცით, რა თქვა ვერის სასაფლაოს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა? – არ გადაიხდით და ჩამოგატრით!**

– რა თანხა დასახელდა „ჩამოსატრედი“ სასაფლაოების საფასურად?

– 500 ლარი, წარმოგადგენიათ? ვთქვათ, ვერ გადაიხდის ოჯახი და მართლაც „ჩამოსატრება“, ესენი ხომ ამ ადგილს შემდეგ 5-6 ათას ლოლარად გაყიდიან. ეს კორუფცია არ არის? თუ ოჯახს შვილი აქ ვაქვს დასაფლავებული, დედ-მამას კი მის გვერდით უნდა სამუდამო სასუფეველის დამკვიდრება, 1000 ლარი უნდა გადაიხადოს, თუ არადა, როგორც ადმინისტრაცია აცხადებს, ამის უფლება „კანონით“ აღარ ექნება! აი, მე მინდა, რომ ყოველგვარი შელამაზების გარეშე დაწეროთ: არ გაგივთ, ამ ქვეყნის დამაქცველო ნაციონალებო და მძათე მათხო, ვე ამბავი! პირადად მე შემოგაკედებით და ამ ამბავს თქვენს

სასარგებლოდ არ დაგამთავრებინებთ!

ამ დროს „სასაფლაოს ბიზნისის“ წარმომადგენელმა ახალი ნოვატია გააკლერა: ჩვენი მომსახურება ნებაყოფლობითია, ვისაც უნდა ჩვენი მომსახურება, კი, ბატონო, მაგრამ ვინც თვითონ დააღაგებს თავისი მიცვალებულის საფლავს, უნდა ვიცოდეთ, ის გარდაცვლილის ოჯახის წევრია თუ – არა, გასაგებია?

– უკაცრავად, ახლა საჯარო რეესტრის ამონაწერით უნდა ვიზრუნოთ სასაფლაოზე, მართლა ჩვენი ოჯახის წევრი რომ ასაფლავია აქ? – მიუტრიალდა ჩემი რეესპონდენტი ნანა ოდიშარია „თერმის“ წარმომადგენლებს, – იქნებ ისიც გვითხრათ, აღდგომის კვრცხის გაგორების უფლება თუ გვაქვს ჩვენი მეგობრების საფლავებზე? მოკლედ, აბოლოქრებული ჭირისუფლებით თაკარა მზის გულზე კიდევ დიდხანს ბჭობდნენ, მაგრამ ამოდ. სასაფლაოს ადმინისტრაცია „შემუშავებულ და დამტკიცებულ პრეისკურანტს“ გროშ-კაპიკს არ აკლებდა და გაიძიხლდა: ვარდის ბუჩქი – 2,50 ლარი; ბზის ბუჩქი – 3 ლარი; ნაძვი, სოჭი ან სხვა ჯიშის ხე – 10 ლარი; მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული საფლავის მოვლა – 10; ბაზალტის ქვით მოპირკეთებული – 13 ლარი და ა.შ.

აღმაშფოთებელია არა, მკითხველო, ეს ყველაფერი? მაგრამ ნუ დაგვაიწყვება, რომ: მთელს საქართველოს პირველად მაშინ გაგვაწესეს სილა, როცა აღმაშენებლის საფლავზე ფარისეველის თვალთმაქცობას ტანში დაგუკარით, როცა დავითი შუაგულ თბილისიდან გაგაძევეთ და ნუ გვიკვირს, კიდევ მეათახედ რომ გვაფურთხებენ სულშიც და საფლავებშიც!

ირინა გოგოსაშვილი

ილორი

ეკრა არ გადაგვხდომია, რა არ ყოფილა ჩვენს თავზე, მაგრამ დაგვიძლევი და დღემდე მოვსულვართ, თუმცა ბევრი რამ ისევე გვორგუნავს ძველებურად, იქნებ უფრო მწარედაც, ვიდრე საუკუნეთა წინეთ, ვფიქრობ ჩემთვის ყოფილი სასტუმრო **“აფხაზეთის”** დევნილებით გადატანილ ერთი პატარა ოთახში ღლონზე წამოკოტრილებული და თავს ვიმხნევებ.

არ უმართლებთ მომიტინგეებს, დედაქალაქისთვის უჩვეულოდ ცივი და წვიმიანი გაზაფხულია წელსაც, როგორც შემოდგომა შარშან. ერთი კვირაა ერთი თვითაც არ შემეტანია ოჯახში, ბავშვების მრცხვენია. ბედნიერი ვიქნებოდი უწიგნური რომ ვიყო, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი და ამით არ მებაძვია სიმთვრალეში. დრო შეიცვალა, ახლა უფიცების, მაგრამ მოხერხებულთა და თადლითთა დროა. დრო კი მეფეა, კაცი უძღურია, მით უფრო სახლ-კარ წარმოებული. არ მეძინება, ჩემი შავთუთი **“რეკორდი”** ჩავრთე. ახრიალდა, აშიშინდა გადაქან და გადმოქანდა ეკრანი, ცოტაც და ჩაწვანდა. ქვეყნის პრეზიდენტთან ოპოზიციის ლიდერების შესხედრას ახვეწებენ პირდაპირი ეთერით, თანაც პოლიციის სამინისტროს ახალი, მეტად ორიგინალური შენობიდან. რატომღაც ასე ახლად **“ც”-ს** მივამსგავსე ჩვენი ქალაქისთვის ასე უჩვეულო, მაგრამ ძალიან ლამაზი ნაგებობა. რატომღაც სიტყვა **“ციბა”** ამეკვივებოდა. გონებაში. ციბა, ციბე, ციბო, ო, ეს სომ **“გეორგიდიანა”**, სწორად თუ მასსოვს, ერთი ბიზანტიელი სარდალი, საქმიანი კაცი, ახლანდელი გაგებით, კაცი რომელიც ლაზიკას მიუჩინა ბიზანტიის კეისარმა თავის თვალად და ყურად.

თვლები დაეხუჭე, სახლში დაგვრუნდი გონებით, სახლში, რომელიც ახლა სახლი არ არის, მაგრამ იყო ერთ დროს აფხაზეთში, მითქმის ორი ათეული წლის წინათ. რა დამავიწყებს, სახლში **“გეორგიას”** მესამე თუ მეოთხე ნაწილს ვკითხულობდი, იქნებ მესუთეს, ახლა ზუსტად ვერ ვისხენებ, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა შეგიძლია მთელი სიცოცხლე მაღლივით იყო იმ რომელიც, ბერძენი თუ ფრანგი მისიონერების, მოგზაურების, მწერლების თუ მხედრებისა, რომლებმაც ფეხით მოიარეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე-კუჩქული და საოცრად ზუსტი აღწერა დაგვიტოვეს ჩვენი სამკვიდრებელისა და მკვიდრობის წესის შესახებ ქრისტემდე დიდი ხნით ადრე და ქრისტეს შობის შემდეგ.

მეც ბავშვობიდან მოვიფიქრე. ახლა ბუბის პატარა სახლში ვარ. ბუბიაც იქაა, ჩემი თბილი, ლამაზი, ჭკვიანი, ბუბია, მუდამ მოფუსფუსე და საქმიანი. ორი კატა გვყავდა სახლში, ბუბია ეალერსებოდა სადამოობით, არტერიულ წნევას მკურნალობდა. ერთმა მათგანმა წიწილების ქურდობა დაიწყო, არ აპატიო ბუბიამ, ცხვირი მოუწვა. მაინც არ დაწვანდა, ავად აიფხორებოდა წიწილების დანახვაზე. ბუბიამ დასაჯა, სახლში არ უშვებდა, თანაც **“ციბა”**, დაარქვა და **“ციბას”** ძახილით უხმობდა მოშივებულს. მოგვიანებით მივხვდი, რომ იმ მხარეში **“ციბა”** ციბერი, მლიქნელი, მატყუარა, თანაც უმჭური, სასტიკი, და დაუნდობელი კაცის მეტსახელი და სიმბოლო იყო. ჩემი მშობლებიც ასხენებდნენ ვიღაც **“ციბას”**, როცა არ უნდოდათ გაგვეყო ბავშვებს ვისზე იყო საუბარი. ახლაც, ომის შემდგომ აფხაზეთში, თოფიანი აფხაზის თუ უცხო ყაზაყის უდროოდ და უადგილოდ გამოჩენაზე ბავშვები **“ციბას”** ძახილით აფრთხილებენ ერთმანეთს.

მეზობელმა შემოიხედა, სადამოსთვის წყალი იქნება ეზოში და ცოცხალი რიგის ნომრებს ვახუსტებო.

კვლავ არ მეშვება **“გეორგიკა”**.

ბიზანტიელებმა დიდი ლაშქრობა წამოიწყეს კავკასიაში.

კეისარს ადრე აქონდა დაჭერილი თადარიგი და წინა აზიის ზღვისპირეთის აწუკკ ბერძენულენოვანი მოსახლეობა დარაზმა მეზობელი ხალხების წინააღმდეგ. ბიზანტიის დევიონებმა გადაუარეს დიდ თუ მცირე სახელმწიფოებს, მშობლიური ადგილებიდან აყარეს მკვიდრი მოსახლეობა, ხელთ იგდეს მეფეები და მათი ქონება, ფულით და მუქარით შემოირიგეს მერყევი კარსიკაცები, ურჩებს კი თავები დააყრვენიეს. ნაალაფარი გაიყვეს,

ს ი ბ ა

რაფიელ გელანტია

ჯანიანი კაცები, ნორჩი ქალები და მოზარდები სარდლებს დაურიგეს, ლამაზები გამოარჩიეს და ბიზანტიის გზას გაუყენეს დიდებულთა გასართობად და ხელზე მოსამსახურედ.

კეისარს საბაბი მიეცა ურნ ლაზიკაში შესადგენად-ჯარი დაადევნა გაქცეულ მეფეებს, რომლებმაც მთა-ხევებით, ტყეებით და ზღვისპირებით მოძვე ლაზიკაში სცადეს გადასვლა.

კოლხეთის ერთ დროს დიდი და ძლიერი სახელმწიფო დაიქანდა ისტორიულ ქართველებში, დაქუცმაცდა, დაიშალა, სახელმწიფო ერთიანობა დაკარგა და დიდი მეზობლების საჯილდო გახდა, თუმცა ლაზიკა, იბერიას მოწყვეტილი ქვეყანა, ჯერაც ქრისტიანობდა, კვლავ იდგა ფეხზე, ხალხობდა ხალხი, მეფობდა მეფე, ჯარობდა ჯარი და დარაჯად ედგა კავკასის მთებიდან მოზღვავებულ ათასგვარ მომთაბარეს, ამასთან ერთად, ბიზანტიის ქვეშევრდომადაც ითვლებოდა, თუმცა საკუთარ და კეისრის საქმეს თავად აგვარებდა და ბერძენთა ჯარს მის მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმა აკრძალული აქონდა.

მსოფლიოს ბატონობდა ბიზანტია, მაგრამ სასანიანთა დიდი ირანიც ცდილობდა ლაზიკას თავის მხარეზე გადაბირებას და პონტუს ქვესინუსზე გასვლას. ლაზიკას მეფეზე უკეთესად ვინ იცოდა, რომ ორივეს ლაზიკა სჭირდებოდა სათავისოდ, არცერთი არ იყო მისი მეგობარი, თუმცა ორივე თამაშობდა მასთან, ისე როგორც თვითონ ორივესთან საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად თავისი უტყუარი აღდგომა და წინაპართა გამოცდილების გათვალისწინებით. არც ერთი მათგანი არ ენდობოდა ლაზთა მეფეს და ორივე სიამოვნებით მოიშორებდა მას და მის მეფობას, გააუქმებდა სამეფოს, მაგრამ ამ უბედურებაში იყო ის ბედნიერება, რომ თუ რომელიმე გადაწყვეტდა ძალის გამოყენებას, მაშინათვე მეორესთან ექნებოდა საქმე, ომის დემერტი კი არც ერთ მათგანს არ უდმოდა ჯერჯერობით, თანაც ლაზების საპირწონე არც არვინ იყო, რადგანაც გადაწყვეტი ბრძოლის ველზე მას შეეძლო გამარჯვებული დამარცხებულად ექცია. ასე რომ, კეთილგანწყობილი ლაზთა მეფე ორივეს სჭირდებოდა, მეფესაც ორივე – თავისი თავის, ქვეყნის და ჯიშის გადასარჩენად.

ეს ის დრო იყო, როცა ჩრდილო მომთაბარე ველურნი მოაწვეს ლაზიკას და მეფემ ტახტი ციხე-გოჯაში გადაიტანა და აღეშენებოდა ახალი ციხე-კოშკები გოჯი-გოჯა. წათე გამხდარა მეფე ლაზთა, იგი ახალ დაბრუნებული იყო დიდი ქალაქიდან სამეფო რწმუნებით და მეფის ნიშნებით, თანაც წესით და რიგით სადედოფლოც გამოუყოფლებოდა იქიდან.

დიდი ფული შესთავაზა წათეს კეისარმა, ციხეები აღაშენა და ჩემს ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღო, მაგრამ იუარა მეფემ. კარგად იცოდა დიდი მამის შეილმა, რომ ანგარიშიანი იყვნენ დიდი ბატონები იმპერიისა და უშიხნოდ არ არიგებდნენ ფულსა და ოქროს.

დარჩესო ძველებურად, უხალისოდ დათანხმებულა კეისარი, თანაც გაუგრძელებია საუბარი-ქრისტიანობას გაუფრთხილდო მეფემ, მცხეთას კვლავ გიზგიზებსო წარმართთა ცეცხლი; და კიდევ, აღებ-მიცემობას შეუწყვეო ხელი, მონახეო სამაგისოდ კაცი ხეირიანი, გზა გაუსხენო ქვეყანაში პურიით და არმენებს. პირველ მინიშნებას მიუხვდა მეფე, მეორეზე კი დაფიქრება მართებდა. მოგვიანებით მიუხვდა მეფე კეისრის ნაბრძანებს, მან კარგად იცოდა თუ რა ხდებოდა მისი იმპერიის გარშემო.

ირანის პირველმა შაჰმა არტაშარმა განაგდო თავისი ქვეყნიდან ყოველი ბერძენული და აღადგინა მათი ძველისძველი ადათები, ცეცხლის რწმენა განავრცო თავისად მიწეულ მიწებზე, მცხეთას ადიდა სამი არმაზი.

დიდი ომისა და ნიზიბინის ხელშეკრულების შემდეგ ბიზანტიისთვისაც უმნიშვნელოვანესი გახდა ქრისტიანობის განმტკიცება ლაზიკასა და იბერიაში, როგორც უმთავრესი სტრატეგიული ფაქტორი თავის გაკვლევის მოსაპოვებლად ქვეშევრდომ და მეზობელ ქვეყნებში, რადგანაც ერთ მორწმუნეობა ითვლებოდა ნდობისა და სიახლოვის უპირველეს პირობად, თანაც, დიდი ქვეყნებისთვის მყარი მოცემულობა პატარა ქვეყნების საშინაო საქმეების ასარგვად. ძლიერი აღმონდა ირანის შაჰი კავადი, ხელახლა დაიპყრო იბერია და საქართველოს დაცლა მოსთხოვა ბიზანტიას.

თავის დროზე წათეს მამამ ბიზანტია არჩია ირანს და ნდობა მოსთხოვა ბიზანტიას, რაც სიამოვნებით აღუსრულეს, მაგრამ ქვეყნისთვის საშიში საფრთხე ვერ აიცილა თავიდან. ირანმა და ბიზანტიამ დიპლომატიური მოლაპარაკება დაიწყეს და მათ შორის **“საუკუნო”** ხავი დაიდო, რომლითაც იბერია და ლაზიკა გაიყვეს, რეალური ჩანდა სხვა სამომავლო რისკი – ახალი ომის შემთხვევაში გამარჯვებული ირანი არ აპატიებდა ლაზებს ბიზანტიელთა ერთგულებას განუტყვევებელი შედეგებით, ძველამოსილი ბიზანტია კი უფრო მეტს მოსთხოვდა ლაზიკას და ჯარის შენახვასაც დააკისრებდა ლაზთა მეფეს.

აი, აღებ-მიცემობის ვაფართობა კი თავაზი იყო, რათა წათეს გაეკონტროლებინა თავგასული ბერძენული კოლონიები და მიეღო თავისი წილი, რათა კეისრისთვის მიეგო კეისრისა და ციხეებიც გაემარჯვებინა სამომავლოდ თავისად დასახულ საბიზანტიო იბერიაში შესადგენად, ფიქრობდა წათე თავისთვის. მთლიანობაში კი მას აგრძობინეს, რომ **“საუკუნო”** ხავი მალე დასრულდებოდა და სამზადისი დაეწყო ახალი მოვლენებისთვის.

წათეს მეფობის წლისთავზე მცირე აზიიდან ბიზანტიელთაგან ოტებული მეფეები გამოჩნდნენ ლაზიკას. გამოატარა წათემ მამამისის და ლაზიკას ახლობელი მეფეები და მათი ამაღლა სამშვიდობოს, მაგრამ მღევარი ჯარის სარდალმა იოანე ციბამ კეისრის ფორმანი წარუდგინა და იძულებული გახდა დევნილები მთიან ჩრდილოეთში გადაეხიზნა.

უცნაურია ნება იმპერიის ბატონთა – ბიზანტიის წარმომადგენლად ლაზიკაში კეისარმა ციბა დაინიშნა წათეს, კაცი არა წარჩინებული და არა სახელგანთი, რომელიც პირველი ჯარისკაცი ბოროტი და საზიზღარი საქმეებით გახდა. თუმცა, მალე დარწმუნდა მეფე, რომ ციბას მისგან განსხვავებით კარგად ეხერხებოდა ფულის შივნა, დედათა მიმართ დაუნდობლობა და პირის მომეტებული გემო. სხვა რამითაც განსხვავდებოდა ციბა სხვებისგან, მრავალენას ფლობდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხთა, ფინია ძაღლად იქცეოდა უფროსებთან, ცოფიანი მეგელი იყო ქვეშევრდომებთან.

კიდევ სამი წელი და ციბას მიერ ხელქვეითებში წესად ქვეულმა სიცრუემ, ტყუილმა, პირფერობამ, დასმენამ, არია ლაზთა და ბიზანტიელთა საქმეები, გჭვი დათესა კეისარსა და მეფეს შორის, მტრად გაუხადა ქვეყანას მოყვრები და მეზობლები. ამებო მოსლილოდა მეფეს, რომ ციბა ოქროსა და ძვირფასეულობას უგზავნიდა ირანის შაჰის კარსაც, მისი დასტურით ლაზიკაში შემოდიოდა ირანული საქონელი პურიათა და სომეხთა ქარავნებით. ისიც იცოდა მეფემ, რომ ციბას არც ბიზანტიელი დიდკაცები ავიწყდებოდა და მშვენიერი კოლხი გოგონები, ოქრო და ფული მისდიოდაო უხვად.

მეტად გაკვირებული დარჩა მეფე, როცა ერთ-ერთი სამეფო მიღებისა და ნადიმის შემდეგ ციბამ, ამ მეტად ტუნქმა, ყოველი ლაზურის მოძულე, გაუტყვეველი ჯიშის და სახის დიდმხევემ ციხე-გოჯის ვაფართობა შესთავაზა, თანაც საკუ-

თარი ხარჯებით და რამდენიმე თვეში მშენებლობაც დაიწყო. არ გაკვირვებია მეფეს ციბას მორიგი თხოვნაც, რომ ყოველივე ამის შესახებ შეეწყობინებინა კეისრისთვის და მადლი გამოეხატა კეისრისა და ბიზანტიისთვის.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და კეისარმა ნება დართო ციბას, რათა ადემუნებინა ზღვისპირეთში, ჭოროხთან ახლოს, ციხე-ქალაქი პეტრა. და აღშენდა ლაზი და ბერძენი დიდოსტატების ხელით ციხე-სიმაგრე, წვერად ცას აწვედნილი, სამი მხრიდან მიუდგომელ კლდეში ნაკეთი, უცნაური ფორმისა და სიმტკიცის გამო იმთავითვე ქაჯეთად წოდებული. დაჯდა შიგ ციბა მეფისგან შორს, უსაფრთხოდ ლაზთაგან, მათ მარცვად და საბატონოდ.

ციბამ შემოიღო ბერძენული მონოპოლი და თავად გადაიქცა შუამავლად ყოველ ფულთან საქმეში. ვაჭრებს ნება არ აქონდათ შემოეტანათ და გაეტანათ საქონელი ციბას ნების გარეშე. ეს რაღა არიო და ცხნა-თესვა აუკრძალა ლაზებს, იაფად და უკეთესი გარედან შემოვიტანოთ, თქვენ ნადირობა და თევზაობაც გეყოფათო თავის სარჩენად. მთელი შავი ზღვისპირეთი ხელში ჩაიგდო ციბამ, მაგრად ჩაავლო ხელი ტრაპიზუნტს, ფახისს, პიტეუნტს, სებასტოპოლს, სიგანიოსს, გაგვიდას, ლაზები და მეფის მოხელეები გააიქვეა იქიდან. საწყობები მოაწყო ნავსაყუდლებთან და ათმაგ ფასებში ყიდდა იქიდან. მოამრავლა ვაჭრები და უცხოელები, ურჯულოებით გაავსო ქვეყანა.

ლაზთა სპასხლარი ეახლა მეფეს. ეს ბიზანტიელი ისე გათამამდა, ჩვენს საქმეებში ერევა, არააობად მივანჩივართ ყველა, მარცვავს აქაურებს, თუმცა სულ ლაზებზე იფიცება, ქება-დიდებას არ იშურებს მათზე და გაჭირვებულებთან ცრემლად იღვრებაო.

იყუნყო, უბრძანა მეფემ სპასხლარს, არ ივარგებსო სულწასულობა, თანაც დიდი ომი გვაქვსო წინ ველურებთან და დარბაზი იხმო.

გაუჭიანურდა ომი ლაზიკას ჩრდილოეთიდან შემოჭრილ მომთაბარეებთან, მათ არაფერი აქონდათ დასაკარგი გარდა სიცოცხლისა, რომელიც, ასევე, არაფრად უღირდათ. ფეხი აითრია წათემ და გამარჯვებული ომის ბოლომდე მიყვანა ბრძანა, როცა შეატყობინეს, რომ ირანელთა მეორე შაჰი-ხოსრო პეტრას დაატყდაო თავის ყველასგან უჩინრად.

პეტრას გარშემოწყო ხოსრო, რადგან იერიშით ვერაფერი გააწყო, ციხე აუღებელი ჩანდა. ალყა მთელი წელიწადი გაგრძელდა და მისმა რჩეულმა ლაზმა მცველმა დაკოდა ციბა სასიკვდილოდ, მისმა არასრულწლოვანმა სასხემა კი სიცოცხლე მოუთავსეს და მტერს ციხის კარები გაუხსნეს.

ციბას ქონება ხოსროს დარჩა. ახლა ირანელები ჩადგნენ პეტრას ციხე-ქალაქში, გამოიზამთრეს და ლაზიკას შეეხივნენ.

უთანასწორო ბრძოლაში ჩაება ლაზთა მეფე, აგვიანებდა კეისრის ლაშქარი, თუმცა იბერთა დევნებით უფლისწული თავისი გულანშარელი და კაბადოკიერელი ძმადნაფიცი უფლისწულებით ფიცხელ მიიწვედნენ პეტრასზე, სადაც იბერიელი უფლისწულის საპატრიარქო ხოსროს ჰყავდა გამოკეტილი.

შემოდგომაზე ლაზიკას ჩამოვიდა კეისარი თავისი რჩეული რაზმით, წათემ უწინამდგრა გაერთიანებულ ლაშქარს, მეწინავეთ მიუძღოდა ლაზთა მეფე. გადაწყვეტ ბრძოლაში ირანელები უკუიქცნენ და მღევრის გარდილებმა პეტრას შეაფარეს თავი.

სადამოს ბუნიკის ამოღებისას უცრად გარდაიცვალა ლაზიკას მეფე, მოწამლული აღმონდა ბუჭიდან ამოღებულ ბიზანტიური ისარი. სამი დღე და სამი ღამე არ მოშორებია წათეს ცხედარს ნორწამხლარი კეისარი, ბიზანტიონის წესი დაარღვია და იქვე უბოძა ლაზთა მეფობა უფლისწულ გუბაზს.

კეისარი დარწმუნდა, რომ პეტრას ციხის ამღები ძალა იმ დროს არ არსებობდა და ბიზანტიელებმა მეციხოვნეები შიმშილით ამოხოცეს. პეტრა დაანგრეს, თუმცა ომი გაგრძელდა.



გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები" გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

ათი ლეგენდარული მატჩი ევროპის რეალური მეფეები

1956 წლის 13 მაისი "პარკ-დე-ფრენსი" პარიზი. ჩემპიონთა თასის ფინალი.

"რეალი" - "რეიმსი" 4:3 (2:2) გოლები: დი სტეფანო 15, რიალი 30,80, მარკიტოსი 72, ლუბლონი 4, ტემპლონი 11, იდალგო 63.

38.238 მაყურებელი. მსაჯი ელისი (ინგლისი).

"რეალი": ასონსო, ატენსა, ლესმესი, მუნიოსი, მარკიტოსი, სარაგა, ხოსეიტო, მარსალი, დი სტეფანო, რიალი, პენტო.

"რეიმსი": ჟაკე, ზიმანი, ჟიროდო, ლეზლონი, ჟონკე, სიატკა, იდალგო, გლოვაცკი, კოპა, ბრიარი, ტემპლენი.

ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში მიწვეული იყო 16 გუნდი, თუმცა მათ შორის ბევრი არ იყო თამაშის იმ სეზონის ჩემპიონი. მაგალითად, შოტლანდიურმა "ჰიბერნიანმა", რომელიც ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალამდე მივიდა, შოტლანდიის ერთ-ერთ ჩემპიონატში მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. ინგლისურ კლუბებს იმ სეზონზე თასის გათამაშებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ინგლისის საფეხბურთო ლიგამ კლუბებს განუცხადა, რომ თუ ისინი გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებდნენ, დაამძიმებდნენ ისედაც გართულებულ სათამაშო კალენდარს. ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში სულ გავიდა 127 გოლი (საშუალოდ 4,37 გოლი ერთ მატჩში). მადრიდის "რეალმა" გაიტანა 20 გოლი, ხოლო "რეიმსმა" კი 18 გოლი. საშუალოდ ერთ თამაშს 31.000 მაყურებელი ესწრებოდა. ჩემპიონთა თასის პირველი

გამარჯვებული გახდა მადრიდის "რეალი", რომლის კლუბის პრეზიდენტი იმ დროისათვის იყო ცნობილი ბიზნესმენი სანტიაგო ბარნაბეუ, ხოლო მადრიდელთა თამაშს ხელმძღვანელობდა ლეგენდარული აღფრედო დი სტეფანო, რომელიც მადრიდის "რეალში" გადასვლამდე თამაშობდა კოლუმბიაში. ჩემპიონთა თასის მოგება მადრიდის "რეალს" გზა გაუხსნა მომავალი წარმატებებისაკენ ესპანეთში და მთლიანად ევროპაში. კლუბის პრეზიდენტმა სანტიაგო ბარნაბეუმ დიდძალი თანხა გაიღო საიმისოდ, რომ აქმენებინად დიდი 125.000-იანი ტრეადოლის სტადიონი მადრიდში, ხოლო რაც შეეხება ფინალურ მატჩს, მადრიდელმა "რეიმსის" წინააღმდეგ სათამაშოდ მთელი თავისი "დამრტყმელი ძალა" გამოიყენეს. თამაშის დასაწყისში "რეიმსმა", რომლის ღირსებასაც იცავდა "ფეხბურთის პროფესორად" აღიარებული რამონდ კოპა, იოლად გაიტანა ორი გოლი მადრიდელთა კარში (ეს მართლაც ლეგენდარული ფეხბურთელი ჩემპიონთა თასის გათამაშების დასრულებისთანავე შეიძინა მადრიდის "რეალმა"). საბოლოო ჯამში მატჩი მაინც მადრიდელთა გამარჯვებით დასრულდა ანგარიშით 4:3. თამაშს ინტერესს მატებდა ისიც, რომ მადრიდის "რეალი" გამარჯვების შემთხვევაში თითოეულ თავის ფეხბურთელს იმ დროისათვის სოლიდურ თანხას - 400 ფუნტ სტერლინგს უხდიდა. ალბათ ფინანსური ინტერესიც გახდა იმის მიზეზი, რომ შემდგომში "რეალმა" ზედიზედ 5-ჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

ცეცხლოვანი მატჩი 1958 წლის 23 ივნისი "რასუნდას" სტადიონი, სტოკჰოლმი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი.

ბრაზილია-შვედეთი 5:2 (2:1) ვაგა - 9,30; პელე 55,90; ზაგალო 68; ლიდროლი 4; სიმონსონი 80.

49.737 მაყურებელი, მსაჯი გიგი (საფრანგეთი).

ბრაზილია: ჟოლმარი, ჯალმა სანტოსი, ნილტონ სანტოსი, ზიტო, ბელინი, ორლანდო, გარინჩა, დიდი, ვაგა, პელე, ზაგალო.

შვედეთი: სვენსონი, ბერგმარკი, აკსბომი, ბერესონი, გუსტაფსონი, პარლინგი, ჰამრინი, გრენი, სიმონსონი, ლიდროლი, სკოგლუნდი.

ფინალში ბრაზილიელთა დამაჯერებელმა გამარჯვებამ, რომელიც ტელევიზიით გადაიცი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სამხრეთ ამერიკელებს აქვთ ლამაზი ფეხბურთის დემონსტრირების საშუალება. ამ მატჩის წყალობით ბრაზილიის ნაკრები ფეხბურთის მსოფლიო ისტორიაში შევიდა როგორც უძლიერესი გუნდი. ჯერ კიდევ ნახევარფინალში ბრაზილიელებმა სძლიეს ფრანგებს 5:2. მათ ასევე დამაჯერებლად დაამარცხეს

შვედები 5:2. და ეს მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი მე-4 წუთში შეედგება გაიტანეს. ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა ფეოლა გუნდში დააბრუნა 30 წლის დიდი, რომელმაც გულშემატკივართა იმედები გაამართლა. ასევე თამაშობდა კიდევ ერთი ვეტერანი ჯალმა სანტოსი. ასევე ყოფიანი დოქტორი ფეოლა გარინჩას მონაწილეობას, რომელიც იმ დროს არასტაბილურად თამაშობდა. არადა, სწორედ მისი სწრაფი გარღვევების წყალობით გაიტანა ვაგამ ორი გოლი შვედების კარში, რაც პელემ დააგვირგვინა მესამე გოლით. ეს გახლდათ მართლაც უღამაზესი გოლი. მან ბურთი თქოთი მიიღო, მოწინააღმდეგეს თავზე გადაუტარა, შემოტრიალდა და უძლიერესი დარტყმით გაზარდა ანგარიში. როდესაც პელემ მეორე ბურთი გაიტანა, მას ტირილი აუვარდა და ძლივს დაამშვიდეს თანაგუნდელებმა. ეს გახლდათ პელეს არნახული ტრიუმფის დასაწყისი და მალე იგი "ფეხბურთის მეფედ" იქნა აღიარებული. ფეხბურთის სამყაროში უდავო ღირსებად აღიარებული ბრაზილიელები კი შემდგომში არაერთხელ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

გიორგი ჯალაღანია



იუმორი

ავტობუსში მეგრელს ჯიბეზე ქურდი ეჩაღიწება. მეგრელმა ხელი დაუჭირა და დაიფიქრა: - რა შერები, შე ქურდობაცაცავე?! იცოდე, ყურებს დაგაჭრა! - გამოიწვი ხელი, მეტკინა, მე რეგმატიზმი მაქვს! - იფიქრა ქურდმა. - მეგრე, ჩემს ჯიბეში წყალტუბოს ემებდი, შე ვირიშვილო?!

გურულს ეკითხებიან: - როგორ ხარ? - ლენინით! - ეგ როგორ? - პატევს კი მცემენ, მარა, არც მაჭმევენ და არც მასმევენ...

მეხუთე სართულის აივანიდან კაცი ასაკოვანი ქალის გადმოვლებას ცდილობს. დაბლა შეგრვილი ხალხი აღშფოთებას ვერ მალავს: - რას შერები? დაანებე თავი მაგ ქალბატონს! მეკვლელ! დესპოტო! სად არის პოლიცია? - ეს მისი სიდედრია, - თქვა ვიღაცამ. - უფურცამ ბებერს! - აყვირდა ხალხი, - ნახე, უძალიანდება კიდევ!

ჭიჭიკია ეკითხება ბიჭიკიას: - რაგა ხარ? - ვარ ნელ-ნელა. - შენი ცოლი, ნახიკია რაგა? - ქვა პუმანტარულ დახმარებასავით. - რას ნიშნავს ეს? - აღარ ვარგა და მაინც ვხმარობ.

სიღმრთის ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ - ნადირის ნახვა - ცუდია და უსირცხვილო კაცსა ნიშნავს; - ნაგავი დაგროვილი - კარგია, მონაგები შეიმატო და იხარო; - ნახშირის ნახვა, ანუ გაჩაღება - ცუდი და საზიანო საქმეა; - ნესვის ნახვა, ანუ ჭამა - ძალიან ცუდია და ავადმყოფობაა; - ნამი - ძალიან კარგია, თავისთვისაც და ქვეყნისათვისაც;

- ნაქსოვი ოქროთი ნახო - კარგია, სურვილი აისრულს; - ნიორი - სიმწარისა, ნადვლისა და სნეულების ნიშანია; - ოქროს სამკაული ნახო - ყოველივე კეთილად დამთავრდეს; - ოქროს ფული - ცუდია, ავადმყოფობის და ნიშანია; - ოქროს ბეჭედი - ძალიან კარგია, ქორწინების ნიშანია; - ომი - კარგია და ყოველი გაჭირვება მოგშორდეს; - პურის ჭამა, ანუ გამოცხობა - ორივე სულ ცუდია; - პურის დაბანა - ცუდია და განსაცდელის ნიშანია.



გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედიტო - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი! ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან! შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!

ს ი ბ ა

მოგვიანებით ბიზანტიამ და ირანმა ისევ შეკრეს ზავი, ამჯერად ირანმა ლახიკა და იბერია აღიარა ბიზანტიის ქვეშევრდომად და მალე პერსიკულ ხეობისას წარმართობა დასრულდა საქართველოში. ქრისტეს სახლებით განივსო ქვეყანა. მოგვიანებით ლახიკაში საბოლოოდ ირწმუნეს, რომ პატარა ქვეყანას გადარჩენის ერთადერთი გონიერი არჩევანი აქვს - მხოლოდ საკუთარი ხალხის და ქვეყნის ინტერესების პირველობა ყველა სხვა ინტერესთა გათვალისწინებით, მაგრამ ბოლომდე ნდობა არავისი და არასოდეს. კვლავ დაგებუნდი თბილისში. პრეზიდენტთან შეხვედრა დასრულდა და ჩემი შეხვედრაც წარსულთან. ციხა, ალბათ, იმიტომ ახსოვდა ბებიანემს, რომ იგი ახსოვდა მის ბებოას და იმის ბებოას, და დღემდე ახსოვს „გეორგიკას“ და საქართველოს ისტორიას. ახსოვს რომელია, ხომ იცით რანაირები იყვნენ ჩემი პედაგოგები აფხაზეთში, ქართულის და ისტორიის მასწავლებლები თავგამოდებით გვარწმუნებდნენ მოზარდებს, რომ პეტრა ქაჯეთის ციხეაო, მხოლოდ მათემატიკის მასწავლებლებს ჰქონდა განსხვავებული პოზიცია. რა გაეწყო, ყოველგვარ აზრს აქვსო არსებობის უფლება. ასე შეაჯამა „იმედზე“ პირველი შეხვედრის მიმოხილვა არხის საინფორმაციოს წამყვანმა და მეც დავეთანხმე. რაც შეეხება ციხას, არც მე შეგუებდა, რომ ის იყო, არის და იქნება ცოცხალი მანამ, სანამ ადამიანები, დიდი და პატარა ქვეყნები იქნებიან დღემდეა.

რაფიელ გელანტია

| | | | |
|--|---|---|---|
| გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე | რედაქციის მისამართი: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930 | მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალაია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი | anaklia@web.de e-mail:elisabetthal@yahoo.de რედაქციის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97 |
|--|---|---|---|